

მ რ ი

№ 4

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ჩვენი საქმეები—თავდაზნაურობის საეურობის
—აკაკისა; ისევ ვუყვარვარ!—გრიშაშვილისა;
ჩხია—გ. გვაზავასი; სეტობა—გ. ბაგრატიონისა;
შინაური მიმხილვა—მსიკა—ვლ. შალიკაშვილისა;
მთის არწივი შამალი—ა. ფრონელისა;
თეატრი—ინგილოთა უფო-ცხოვრება—
ზ. ედილისა; მთა—ალბანელისა.

კვირა, 28 თებერვალი

საზოლოტიკო, სამეც. და სალიტ. ჟურნალი


1910 წ.

ჩვენი საქმეები

დღეს ჩვენ მოგვებოება სულ რამდენიმე საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელთაც ჩვენვე ვაწარმოებთ. თუ ამ დაწესებულებათა დღევანდელ მდგომარეობას გაითვალისწინებთ, თუ მათი ცხოვრების წარსულს თვალს გადაავლებთ, შენიშნავთ, რომ არც ერთი დაწესებულება ისეთ კალაპოტში არა, ჩამდგარი, რომ კაცს შეეძლოს თქვას: აქ საქმეები კარგად მიდის, აქ მაგრად გვიღვია ფეხი და შიში აღარ მოგველისო. ასეთი უნუგეშო მდგომარეობა უნებლიეთ გვაიძულებს შევეცადოთ გამოვიკვლიოთ, თუ რა მიზეზია, რომ ჩვენ საზოგადო საქმეებს აფერხებს, რაა, რომ წელკავი გავვიჩინა და შევბას აღარ გვაძლევს? მიზეზს მიზეზი არ დაელოვა, რასაკვირველია, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ უახლოესს მივაქცევთ ყურადღებას.

დიდად პატივცემულმა ბ-ნმა აკაკიმ პირდაპირი პასუხი მოგვცა: ის აშკარად გვეუბნება, რომ ჩვენ საზოგადო საქმეში საზოგადო ინტერესით, საზოგადო მისწრაფებით კი არ ვხელმძღვანელობთ, არამედ საპირადოთი. და განა ეს ჭეშმარიტება არაა? ამისათვის საკმარისია თვალი გადაავლოთ ჩვენი ბანკების ისტორიას. გაიხსენეთ თუნდ ქუთაისის ბანკი. ვინ იყრის თავს მის გარშემო? ვინ არიან ის პირნი, რომელთა ხელში დღემდისაც ბანკის სეგბედია? განა როცა ამა თუ იმ კანდიდატს წამოაყენებდნენ, ვინმე ლაპარაკობდა მის პატიოსნებაზე, მის უანგარობაზე და საზოგადოებისადმი თავ დადებზე? აქ ყველაფერი იყო გარდა საზოგადოებრივი ელემენტისა: მოტყუება, მოსყიდვა, სადილ-ვანშები, თვალის ახვევა, ცრუპენტელაობა, ხოლო არ იყო პატიოსნება, გულახდილობა, უანგარობა და თავდადება. ასეთმა გზამ საზოგადო საქმეებში გავვათახსირა, შეიტანა ჩვენს ცხოვრებაში ის აზრი, რომ შეიძლება კაცმა საზოგადო საპირადოს ანაცვალოს,

გასთელოს ყოველივე, რასაც კი საერთო მნიშვნელობა აქვს, უტიფრად მოიქცეს და ამით გაიმარჯვოს. ვისაც ქუთაისში უცხოვრია, არა ერთხელ ექნება გაგონილი ერთი წინანდელ რაინდის სიტყვები: ბატონებო! მობრძანდით, კარგად ვერ გავიმასპინძლდებით, მაგრამ ლობიო მაინც შექნებაო. ასეთმა საჯაროდ მოსყიდვის და მოხიბლვის გზამ იქამდის მიგვიყვანა, რომ ჩვენ საზოგადო დაწესებულებებში მოიქცნენ ზნობრივად და გონებრივად უბადრუკნი და დღემდისაც იქ სხედან. როცა მოთავის ადგილისკენ გაიწევა ერთი შუბლ გარეცხილი, ამას უკან მოსდევს ასი და ათასი წვრილმანი მელა-კუდა რომელნიც წინ უბაძვებენ თავის მეუაურს იმ იმედით, რომ ჩვენ სათარეშო ასპარეზს მოვიპოვებთო. და მართლაც მიზანს აღწევენ. ქურდობენ, მექრთამეობენ, ბოროტ-მოქმედებას სჩადიან და ამით საზოგადო საქმეს ძირს უთხრიან. ამ ჯურის ვაჟ-ბატონებმა ისეთი ფესვები გაიდგეს ჩვენ საზოგადოებაში, რომ მათთან ბრძოლა მეტად ძნელია, მაგრამ სიძნელე უკან ვერ დაგვახვეწინებს. საჭიროა ახლა მაინც გონს მოვიდეთ და ვსდევნოთ უღომბელად ყველა ისინი, რომელთაც საზოგადო საქმეში გარყვნილება და გათახსირება შეაქვთ.



თავდაზნაურობის საეურობისად.

ქუთაისში რომ სადგილ-მამულო ბანკი დაარსეს, მე დამსწრე ვარ და იმ დღიდან აქამომდე თვალყურს ვადევნებ—გათვალისწინებული მაქვს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო, მაგრამ რა ვნება მოგვიტანა? ამაზე მთელი თხზულებაა მაქვს დაწერილი, რომელიც მალე გამოვა და ახლა კი მოკლედ ვიტყვი იმას, რასაც, მაშინ ვამბობდი, როცა აარსებდნენ: „ვინ იტყვის, რომ სამართებელი კარგი მოსახმარი არ იყოს, მაგრამ დიდებისათვის წვერის

მოსაპარსავად და ბავშვებს კი არავინ ჩაუტეხს ხელში ყელის გადასაჭრელად, და მაგ ბანკს ჩვენ ვერ მოვიხმართ და საწვილიწვილო ეკალს ნუ ვთესავთ მეთქი. ჩვენდა საუბედუროდ ეკალი დაითესა და ამ ბანკით ჩვენვე ვიჭრით ყელს: არა თუ თვითონ ადგია დალუპვის გზას, ლამის მთელი იმერეთიც დალუპოს... გაანადგუროს!.. და ეს მისი ბრალია რომ ჩვენში ყველას საკუქო-საპირადოზე აქვს თვალი გამოპრაწული და საზოგადო მხოლოდ პირბადედა აქვს ენაზე.—ასეა თუ ისე, ჩვენი საქმეები კი სულ უარ-უარ მიდის და კიდევ მივადექით უფსკრულის კიდეს!.. ეს სულ უკუღმართი არჩევნების ბრალია: რწმუნებულებსა და მმართველს მისთანეებს კი არ ვირჩევთ, რომ საზოგადოდ რამეს გაკეთება შეეძლოს, არა!.. მხოლოდ ჩემიან-შენიაობით ვხელმძღვანელობთ: ეს ნათლიაა, ეს მოყვარეა, ეს ჩემიანი, ამან მთხოვა, ამან სადილი მაჭამაო და სხვანი. ამგვარმა მოსაზრებამ მთელი იმერეთი დალუპვამდე მიიყვანა და ბრალიც თავად-აზნაურობას დაატყდება საბოლოოდ. და მიტომაც გაფრთხილებთ, რომ ნუ ვარდებიან ცოდვაში, გამოახილონ თვალი ახლა მაინც და ნუ ღუბავენ ქვეყანას, იქნაიონ სახეში მხოლოდ საზოგადო და არა კერძო—ჩვეულებრივი რამ საპირადო. (გაზ. „ფონი“)

აკაკი.



ისევ ვუყვარვარ!

ისევ ვუყვარვარ, კვლავ ჩემთან არის, მემამბორება... მეც თავს ვეველები, —ოჰ, ცავ და მიწავ! რა რიგ მიხარის, კვლავ მის ხუჭუჭ-თმებს ვეთამაშები!..

ცილსა სწამებდა ბრბო უგუნური: „დაგივიწყა“-ო, ჩამძახდნენ ტყვილად. თურმე სტანჯავდათ მტრობა და შური, მე კი მეგონა ყველა ნამდვილად!..

ვავლახ! მოვსტყუედი, ავყევი ფეხის ხმას, გავაცამტვერე მისდამი ტრფობა, დავსწყევლე, მოვსრე... ვუმატე მოთქმას, და უხმოდ ჩავკალ იმედი, გრძნობა!...

ისევ ვუყვარვარ... ვეხვევი... ვსტკბები... კვლავ მკვდრეთით აღსდგა რწმენის სიმბოლო, ვლადობ, ვნავარდობ, ვეთამაშები... და ჩემს სიხარულს არა აქვს ბოლო!..

ი. გრიშაშვილი



მეზია


ქართული
საზოგადოებრივი

დაჩაგრულ ერთა შორის ჩეხებს უჭირავთ უპირველესი ადგილი იმ დაუცხრომელი თავგამოდებით, იმ რაინდული გაბედულებით და წინასწარგანსაზღვრული პოლიტიკური მისწრაფებით, რომლითაც ხასიათდება ამ უკანასკნელი სამოცი წლის ბრძოლა ამ პატარა ერისა. თუ საზოგადოდ ყოველი ერის ცხოვრება და მოძრაობა, თუ იმას ცოტათი მაინც ეროვნული ელფერი აზის, ჩვენთვის დიდათ საინტერესოა და საგულისხმიერო, მით უფრო ბრძოლა და ამ ბრძოლის ხასიათი ისეთი განათლებული ერისა, როგორც არიან ჩეხები, დიდათ სიმაგალითო და ყურადღების ღირსი უნდა იყოს. მე არა მაქვს განზრახვა გავატარო რაიმე პარალელი საქართველოს და ჩეხიის შორის, მაგრამ უჩემსიტყვოდაც ზოგიერთი მომენტები მისი ცხოვრებისა გასაკვირველად გვაგონებს ჩვენსავე ცხოვრებას, ჩვენ მიერ გამოვლილ იმედების თუ მწუხარების წამებას.

ჩეხიას უჭირავს თითქმის შუა-გული ევროპა. იგი ავსტრიის ჩრდილოეთი ნაწილია და ერთი, განცალკევებით წინ-წასული, შტო არის სლავიანთა რასისა. მართლაც სლავიანთა ძირითად მასსასთან,—როგორც მოგეხსენებათ, ამ მასსას უჭირავს აღმოსავლეთ ევროპის ნახევარი,—ჩეხიას გეოგრაფიულად ძალიან მცირე კავშირი აქვს. მხოლოდ აღმოსავლეთით დარჩენია მას მცირე გასავალი, რომლითაც იგი უკავშირდება პოლონეთს. სხვა მხრივ—ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით—ჩეხიას გარს არტყია გერმანელების მასსა. ეთნოგრაფიულად დაფერადებული რუქა რომ აიღოთ და დახედოთ, გეგონებათ, ეს ერი რაღაც შემთხვევით მომწყვდეულა ამ უცხო ხალხის რკინის რგოლშიო. ამისთანა მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ერი თავისუფალია ე. ი. თუ იმას აქვს ღონისძიება დაიცვას თავისი თავი. საქართველოსაც, როგორც ყოველ ერს, ერტყნენ ირგვლივ უცხო ერები, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში იგი ახერხებდა თავის დაცვას: ჰყავდა იმას თავისი მეთაური, თავისი ჯარი და თანაც ჰქონდა იმოდენა თვით-შეგნება, რომ დიდ ბედნიერებად არ მიაჩნდა სხვისი საკვები ლუკმა გამხდარიყო. უბედურება ის არის, როცა ერი დაჩაგრულია, როცა იმას არა აქვს არავითარი ეროვნული იარაღი დაიცვას თავისი თავი „მშვიდობიანურად“ შემოსული მტრებისაგან.

რადა იარაღი ჰქონდა ჩეხიას?

საშუალო საუკუნოებში ჩეხია წარმოადგენდა დიდებულს და განვითარებულს სახელმწიფოს. ჩეხიის სამეფო ტახტი ერთი დიდებული და უძლიერ-



რესთავანი იყო ევროპაში. მოვიგონათ ის დაუფიწყარი ჟამი, როდესაც პირველად გაისმა დიადი ხმა მაგისტრ ჰუსისა. მთელი კაცობრიობა თითქმის თოთხმეტი საუკუნე ბნელში იყო გახვეული: თავისუფალი აზროვნება და რწმენა აღკრძალული იყო და მთელს ქვეყანას განაგებდა მხოლოდ რომის ავტორიტეტი. აი ამ ბნელს დროში აინთო თავისუფლების ნაპერწკალი ჩეხიაში. ეს იყო მაგისტრი ჰუსი. მან გამოუცხადა წინააღმდეგობა რომის სარწმუნოებრივ ბატონობას და მთელს კაცობრიობას უჩვენა გზა უძვირფასესი თავისუფლებისა. ამ სახელოვან ხანას მოჰყვა დიდი უბედურება. თითქმის მთელი კათოლიკური ევროპა წინ აღუდგა ამ რეფორმატულ მოძრაობას და 1620 წელს მოხდა საშინელი შეტაკება ორი მოწინააღმდეგე ჯარისა—გერმანელების და ჩეხებისა. არის ადგილი რომელსაც ჰქვიან „თეთრი გორა:“ ეს არის ისტორიული სამარე, სადაც დაიმარხა დიდება და თავისუფლება ჩეხისა, -- ეს არის მისი „კრწანისის ველი...“

სიმართლე სჯობიან: „კრწანისის ველს“ მოჰყვა მხოლოდ დასუსტება საქართველოსი, ისეთი დასუსტება, რომელმაც შესაძლებელ ჰყო 12 სექტემბრის მანიფესტი (1801 წელში) საქართველოს შეერთების შესახებ. „თეთრ გორასთან“ ბრძოლამ კი სრულებით განადგურა ჩეხია. მის თავდაზნაურობას ჩამოართვეს მამული, მიწა-წყალი და დაურიგეს გერმანელ აზნაურებს. ბევრი ჩამოახრჩვეს, უმეტესობა განდევნეს და მთელი ქვეყანა, რომელიც ერთს დიდებულს სამეფოს წარმოადგენდა, დარჩა ავსტრიას როგორც იარაღით დაპყრობილი მხარე. თავისუფლების დაკარგვამ თან და თან ჩააქრო და ჩაანელა ყოველი კულტურული ცხოვრება ჩეხიაში. მეთოთხმეტე საუკუნეში დაარსებული პრაგაში ცნობილი უნივერსიტეტი ჩაიშალა, დაჰკარგა ყოველი მნიშვნელობა, ლიტერატურა სრულებით შეწყდა, ის თავდაზნაურობა, რომელიც კიდევ დარჩა, სიღარიბისა და გარემოებათა სიდუხჭირის გამო გაითქვიფა უბრალო ხალხში, ქალაქები თან და თან გადავიდა გერმანელების ხელში და ყველგან გამეფდა გერმანული ენა. მხოლოდ გლეხობაში კიდევ ისმოდა ჩეხური ენა, მაგრამ გლეხობა ჩაფლული იყო ყოველ-დღიურ ბრძოლის ჭირვარამსა და უმეცრებაში. ამ ნაირად მოისპო უშველებელი ერის ცხოვრება, განერთხო ბნელი და წყვდიადმა მოიცვა მისი არე-მარე. ამ საღათას ძილმა გასტანა ორი საუკუნე.

შეიძლება უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო იგი, შეიძლება ის ძილი სამუდამოც გამხდარიყო, მაგრამ კაცობრიობაში დამალულმა საიდუმლო ძალამ თავისებურად იფეთქა სხვაგან—საფრანგეთში; მოხდა დიდი რევოლუცია, დაინგრა ძველი წესწყობილება, გამოცხადდა ხელშეუხებელი უფლება ადამიანისა და ამ მოძრაობის დიადს გრიანს ხმა მოსცა დაჩაგრულ ერების გულთა-ძგერამ. მაშინ

ჩეხიაც გამოფხიზლდა და ცოტ-ცოტად დაეტყო სიცოცხლის ნიშანი. დაარსდა აქა-იქ პატრიარქატის საზოგადოება, დაიწყეს წიგნაკების გამოცემა, ხალხში გავრცელება, გამოჩნდნენ პოეტები და მწერლები, ქალებმა დააარსეს პირველი „მატიცა“ (1830) პრაგაში... და ბოლოს—1848 წელს—იფეთქა ნამდვილმა ეროვნულმა მოძრაობამ.

გ. გვაზავა

(შემდეგი იქნება)



ზაფხული

ორ პირად მიდის მლოცავი ხატისა სალოცავადა. კურატი ნაჰამ-ნასუქი მარჯვედ ჰყავთ დასაკლავადა. ცხენებს ქუსლი ჰკრეს, დასძახეს, დააქლარუნეს ჟღრიალა, მაღლით ავსილმა დროშამაც ჰაერში გაიფრიალა. ხევსურნი იქით დამწკრივდნენ მთიელნი აქეთ მხარესა, იმათი ვაჟკაცობისას ვერავინ იტყვის მდარესა. შავ-თვალა, კობტა ქალები მთიელთ სიმარდეს ჰკვირობდნენ, „ნეტავ მის წაწალს, ვინც ახლა გაიმარჯვებდეს“, ჰპიქრობდნენ. ვილაც მხედარი ლომივით მთიელთ გუნდიდან გამოხტა „თუ გული გერჩით მომყევით!“ იმის პირიდან ამოხდა. გამოეკიდა ხევსური ცხენითა, ბედაურითა. სტყორცნა ჯირითი, მაგრამ ვაჟ მთიელს ის დარჩა შორითა. გაშმაგებულმა ხევსურმა თოფი მოიგდო ხელშია. ჰკრა მთიელს, სული გაუფრთხო, ცხენიც დაუქრა მკერდშია. „როდი შეგარჩენ ხევსურო, ჩემი ძმის მაგრე სიკვიდისა! ან მოგკლავ, ან მე მოგკვდები, სიკვილი მიჯობს სირცხვილსა“. სთქვა ვილამაც და გადმოხტა, შეათამაშა ხანჯალი. დასცა ხევსურს და გაუპო მუზარადი და აბჯარი.

ხევსურთ შეუდგათ ჩოჩქოლი
ყველანი ერთად შეჯქუფდნენ,
უცბად ხანჯლების ტრიალით
მთიელებს თავსა დაეცნენ.
ასტყდა თოფების გრიალი,
აბჯრის გაისმა ჩხარუნნი,
ცხენები ყალხზე დგებიან,
ფარმა დაიწყო წკარუნნი.
მაინც ხევსურნი დამარცხდნენ
ტყეს შეაფარეს თავები.
დაღამდა, კიდევ შებნელდა,
დაიხშო ცისა კარები.
ცეცხლი დაანთეს, დაირა
ააგუზგუზეს ჩქარადა,
დაჰკრეს ჩონგურსა, მეთარე
სიმღერას მოჰყვა წყნარადა:
„ყური დამიგდეთ, გიამბობთ
მე და ხინჩლას ამბავსა,
შევიყარენით ერთადა
სამზღვარსა მუხრანისასა.
პური მთხოვა და ვაჭამე,
ურჩევდი თავთუხისასა.
ხორცი მთხოვა და ვაჭამე,
ურჩევდი კაკაბისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივე,
გადასწვდა გიშრის თმისასა,
ქალმა შეჰყვირა საბრალომ
„ვაჟ დედას, ცუდის ყმისასა“.
ხმალი გავიძერ, გადავბტი
გულში ჩავეცი ხინჩლასა,
შუა გავაპე საწყალი,
წვერმა მიწვდინა ქვიშასა.
ერთი იმანაც გადმომკრა,
რისხვასა ჰგვანდა ღვთისასა,
ორნივ დაჭრილნი დავეცი
ქალი გავგზავნე ძმისასა...“
უცბად შესწყვიტა სიმღერა,
მთვარეს დაუწყო ყურება.
გადმოწვა შავი ღრუბელი,
ცა უცბად მოიბურება.
მლოცავნი ცეცხლს შემოუსხდნენ,
ძილმა დაძალა ყველანი.
მთლად არე-მარე დადუმდა,
მისწყნარდნენ ღამის მთევარნი.

II

სდუმს არე-მარე.., ხალხს სძინავს
მიცვალებულის ძილითა.
მხოლოდ ჭოტები სიჩუმეს
არღვევენ დაძახილითა.
მთვარე გამოძვრა ღრუბლიდან,
სხივი მოჰფინა არესა.
ღრუბელი სადღაც ჩაინთქა,
გზა დაუტოვა მთვარესა.

სადღაც დასტვინა ბუღბუღმა,
აახმიანა მთა-ტყენი.

მწყემსმა დაჰბერა სალამურს,
წახალისა კლდე-ღრენი.
უცბად დადუმდნენ ყველანი,
მთები მოიცვა სიჩუმემ.
ალარა შხუის მდინარე,
ალარც დასტვინა მეცხვარემ.
ხარი ჰარია დაცოცავს
მალლა, სულ მალლა ჰაერში.
მრავალ-ვარსკვლავა ციმციმებს
მზის ამოსავალ მხარეში.
ამ დამშვიდებულ ღამესა
მლოცავებს სძინავთ მშვიდათა
ვერ გაიგებენ ვერაფერს,
თუნდ მიწა გასკდეს შვიდათა.

III

გამოჩნდნენ მთვარის შუქზედა
ჩრდილები ცხენოსნებისა,
ყველას რაღაცა უხარის,
ზოგი ჩუმადაც მღერისა.
მოუახლოვდნენ მძინარეთ,
ყიჟინა დასცეს კვალადა.
შეშინებულნი დიაცნი
ნიშში შეცვივდნენ ჩქარადა.
ვაჟკაცი ზეზე წამოხტნენ,
ხელი წაივლეს იარაღს,
მტრის გუნდში შუა შეცვივდნენ,
როდი დასდევდნენ იარას.
ავარდა კორიანტელი
ცა მოიბურა შავადა,
მალლით გადმოსკდა მედგარი,
სისხლი ჰსდიოდა ღვარადა.
მთვარე ჩავიდა ბუნავში,
მზის სხივმა ცა გაანათა,
გაფითრებულნი ვარსკვლავნი
თითსა უკაცვენ მნდალათა,
ცის-კარი მზეს ემალება,
პირშავად არის მასთანა,
ისე მიიწევს ღამისკენ,
როგორც ძმა იწევს დასთანა.
წვერი ამოჰყო მნათობმა,
თვალი აუბა ღამესა,
სხივით შემოსა ქვეყანა
უჭვრეტს დაქანცულ არესა.
ფრინველნი ჟივილ-ხივილით
წამოიშალნენ ბუდიდან
და საზრდო შვილებისათვის
მარდათ მიჰქონდათ ბუჩქიდან.
ყორანმა ყორანს გასძახა:
„ლეში მახლობლად ჰყრიათ,
ხევსურთ მთიულნი დახოცეს
გავფრინდეთ, ძლიერ მშაია“.

გ. ბაგრატიონი.



შინაური მიმოხილვა

გაზეთ „ახალ სხივში“ შემდეგს ვკითხულობთ:
„შემოქმედის და ლეხაურის (გურია) საზოგადოებებს სთხოვენ: პირველს თოიძეს, მეორეს—თაყაიშვილს. პირველი კატორღიდან გაქცეულა, ხოლო მეორე მეტეხის ციხიდან.

6 თებერვალს მოიწვიეს ლეხაურის და შემოქმედის საზოგადოებების ყრილობა. ყრილობაზე ხალხს გამოუცხადეს, მოგვეციოთ გადავარდნილი პირები, იმათ თქვენ ინახავთ და თქვენ აძლევთ საქმელ-სასმელსო. ხალხმა გამოუცხადა, ჩვენ მათი არაფერი არ ვიცითო.

ბოქაულმა განუცხადა ხალხს, რომ ნაბრძანები მაქვს, სანამდე არ ჩამაბარებთ ამ კაცებს, მანამდე ყველას გაგაჩერებთ, არც ერთს არ გამოუშავებთ და ყოველ დღე ყრილობებს ვაგმართავო. შემდეგ მამასახლისებს მოსთხოვა სია ვინც დააკლდა ყრილობას. ყრილობას ვინც დააკლდა, დააჯარიმეს თითო მანეთით. დასასრულ ბოქაულმა უბრძანა ხალხს დაშლილიყო და 9 თებერვალს კვლავ შეკრებილიყვნენ.

9 თებერვალს მობრძანდა ბოქაული. ხალხს იგივე გამოუცხადა და დასძინა, რომ თუ ასე არ მოიქცეით, სამხედრო წესები გამოცხადდებაო, ყველას გადაგასახლებენ და გაუძლიერებთ რეპრესიებსო.

— **ღვაბზუ და ბახვი.** 7 თებერვალს გაიმართა ამ ორი საზოგადოების შეერთებული ყრილობა. ვინც დააკლდა, ყველა დააჯარიმეს. ბოქაულმა ხალხს გამოუცხადა— მოგვეციოთ მამულაიშვილი და სხვა მანე პირებიო. ამაზე ღვაბზუს საზოგადოებამ უპასუხა: მამულაიშვილმა როცა ღლონტი დასჭრა, მაშინ ჩვენ გადაგვახდევით ჯარიმა 3,000 მ. მას შემდეგ ჩვენ პასუხისმგებელი არა ვართო. ბოქაული დაემუქრა. მოიწვია ისევ ყრილობა 10 თებერვლისთვის და წავიდა. 10 თებერვალს კვლავ გაიმართა ყრილობა. ხალხს მუქარით მიმართეს. ხალხმა ისევ ის პასუხი მისცა ბოქაულს. ამ გვარი ყრილობები ყოველ დღე ხდება. ხალხი ყოველ დღე გამცდარია. ზარალი დიდია. ხუთი ღლის განმავლობაში ხალხს ჯარიმა გადაახდევით ყრილობაზე დაუსწრებლობის გამო— ლიხაურისას 127 მ., შემოქმედისას 60 მ., ღვაბზუსას 86 მ., ბახვისას—130 მანეთამდე.

შემოქმედის საზოგადოებას სთხოვენ აგრეთვე მამასახლისი გადააყენონ და განჩინება დაადგინონ, რომ საქირაო მთავრობის მამასახლისიო. ხალხმა უარი უთხრა განაჩენის შედგენაზე.

— **ხვარბეთი.** სამი თვეა, რაც ხვარბეთის საზოგადოებაში ეგზეკუცია არის, ყოველ დღე ყრილობები ხდება“.

ბრძოლა მთავრობისათვის სხვა და სხვა მანე პირებთან ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში თავიდანვე ამ ბრძოლამ მიიღო ხალხის

დარბევის და აწიოკების ხასიათი. სოფელი აქციეს ერთგვარ ფარად, რომელსაც ხან აქეთ ერეკებიან და ხან იქით. დამჯელი რაზმები, ჯარიმები, უთავბოლო ყრილობები—ეს ისეთი საშვალეებანია, რომელნიც სოფელს ანადგურებენ. დროა ასეთ წესს ბოლო მოეღოს და ისედაც დაძაბუნებულ და დაუძლურებულ სოფელს საშვალეა მიეცეს ცოტა თავისუფლად ამოისუნთქოს,

* *

ვინც ტფილისის ცხოვრებას დაუკვირდება, ის ნათლად შენიშნავს, რომ არსად ისე მწვავედ, ისე აშკარად არ სწარმოებს სოფლის ხალხის გაყვლეფა და შევიწროება ქალაქელთა მიერ, როგორც აქ. გაიხსენეთ თუნდ ოინები ნეტარ ხსენებულ მეჯღანუაშვილისა, რომლის შთამამავლობას დღეს სოლოლაკში წამოუსკუპებია ციხე-დარბაზები და განაგებს ქალაქის თვითმართველობის საქმეებს, რასაკვირველია, ამავე მეჯღანუაშვილი მიმართულებით და მისწრაფებით. დღევანდელ ცხოვრების მეჯღანუაშვილებმა ისე შებოქეს სოფლის ხალხი, რომ მას ამ ვეებერთელა ქალაქში ვერ მოუხერხებია თავისი ნაწარმოები გაასაღოს, თუ არ ჩარჩების შემწეობით სხვათა შორის მოგესხენებათ, რომ ტფილისში არ შეგიძლიათ იშოვოთ ქართული პური, თუმცა მსურველი ბევრია. რატომ? ამას ნათლად დაინახავთ შემდეგი ფაქტიდან. ატარეს-ატარეს ქართულ პურით მოვაჭრენი და მოაქციეს ავლაბარში, კახეთის მოედანზე, მაგრამ მათი არსებობა აქაც კი საშურაო გახდა. მაშინ უპატრონო სოფლელნი იძულებულნი გახდნენ საჩივარი შეეტანათ ქალაქის თვითმართველობაზე და აი რას გვიბასუხებს ეს დემაგოგებით სავსე ვითომ და საზოგადოებრივი დაწესებულება. „სანოვანის სოფლიდან შემომტანათვის კახეთის მოედანზე დავტოვეთ დაზგების ორი რიგი, ვინც დღეს ჩივის, ამ მეპურეთათვის კი აქ ადგილი აღარ აღმოჩნდაო. ხოლო მათ უფლება აქვთ ატარონ თავისი საქონელი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთ ალაგას ათ წუთზე მეტი არ გაჩერდნო“. ხომ გესმით! არც გაყიდვას უკრძალავენ, არც ადგილს აძლევენ, იწანწალე და ამ დროს წამოგესწრება მეჯღანუაშვილი და მეოთხედის ფასად ჩაიგდებს ხელში შენს ნაწვავ-ნადაგს. ასე იყვლიფება დღესაც უმწეოდ დატოვებული ხალხი, ასე აძრობენ ათ ტყავს უპატრონო დატოვებულ სოფელს. ნეტავი როდემდის?

* *

საქართველოს ეკლესიის ზნეობრივი გათახსირება და ქონებრივი აკლება ასი წელიწადია სწარმოებს. უთავბოლოდ გაიფლანგა აურაცხელი ქონება ამ უძველეს ეკლესიისა. დღეს მხოლოდ საბო-

ლოო ლიკვიდაცია სწარმოებს, ამისათვის საჭიროა მხოლოდ ორი ქონების ჩამორთმევა, რომელიც რომ თქვას კაცმა, ისეც ჩამორთმეულია. ესაა სემინარიის ძველი შენობა და ვერის გაუქმებული სასაფლაო. ჯერ-ჯერობით ვერის სასაფლაოს მოვლის წესის აგება. ცხადია, რომ დღეს თუ ხვალ ამ ქონებასაც დაისაკუთრებენ ისინი, ვინც უკვე დავაჩვიეთ ამ დასაკუთრებას. ჩვენი ქვემძრომნი კი, რომელთა რიცხვი ასე გამრავლდა ამ ბოლოდროს, ტაშს დაუკრავენ და ხელს შეუწყობენ ამ საქმეს.

* * *

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ქალაქის სასწავლებელში საზოგადოდ ქართული ენა აბუჩად აგდებულია, მაგრამ თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდით, თუ შუაგულ იმერეთში, ხონში, შეიძლება და ისეთი სკოლა ყოფილიყო, სადაც ქართული ენის ხსენებაც არ არის. მაგრამ ახლანდელ დროში რას არ მოესწრება კაცი ხონის სახელოსნო სკოლაში ქართული ენის ხსენება არ ყოფილა. ნეტავი როგორ მოხდა ეს? ნუ თუ ხონში კაცი აღარ არის, რომ ხმა ამოიღოს და ამ დაწყებით სკოლაში მაინც დაიცივას ქართული ენის უფლება?

* * *

ამას წინედ გამოსული აღმანახი „ჩვენი ნაბიჯი“ ბათუმის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „გიმნაზიის ქართველ მოსწავლე ქალებში იშვიათი მოვლენაა ქართულ წერა-კითხვის ცოდნა. უფროს კლასებში ქართულის სწავლება სრულიად მოუსპიათ“. სამწუხაროდ ეს მარტო ბათუმის ქალთა გიმნაზიის შესახებ არ ითქმის. ქართული ენის აბუჩად აგდებაში ქალებს ყოველგან პირველი ადგილი უჭირავთ. რასაკვირველია, პირველი ბრალი ამ შემთხვევაში ედებათ მშობლებს, რომელთა შეუფერებლობამ და დაუდევრობამ უფრო მეტი ზიანი მოგვიტანა და მოაქვს, ვიდრე სხვა რომელიმე ძალას. დაბალ დონეზე გავვხადეს და ჩვენც ხელს უწყობთ. მაგრამ დროა დღეს მაინც გონს მოვიდეთ და ჩვენ უფლებზე სამშობლო ენის შესწავლაში ყოველგან ხმა ავამაღლოთ. დროა სამარცხვინო ბოძზედ გავაკრათ ის მშობლები, რომელნიც ბათომელებსავით უყურადღებოდ სტოვებენ სამშობლო ენას და ამით ჩვენი გადაგვარების პირველი ხელის შემწყობნი არიან.



მ ა შ ი კ ე

ქართული
ზიგლოტიკა

(დასსრული)

გავიდა სამი დღე, ნიკოს მასიკო თავის ოთახში არ უნახავს. როცა ის შინ არ იყო, მხოლოდ მამინ შედიოდა, ეველაფერს მოუმზადებდა, დასუფთავებდა... როცა სკრეთო სუფრასზე მსახურებდა—სულ თავნადურული იყო, ერთხელ ზეკით არ აუხედნია.

რამდენჯერ სცადა ნიკომ, —დაუძხას, მისი იქ ყოფნის დროს მასიკოს ოთახი დაეღაკებინა, ან ტანი ჩაეცმია, მაგრამ მასიკო არ ეკარებოდა. ხან რას მოგონებდა და ხან რას.

— მას ეგრე, ქალბატონო? რაკი აგრე, ეხლა მე ვიცი. — დაემუქრა ნიკო.

— სამი დღეა დაუღაკებულ ოთახში მძინავს, დაიწყო ნიკომ ჩივილი, სწორედ მამინ, როდესაც მასიკო სუფრას ალაგებდა.

— მერე რატომ არ დააღაკებინებ, შვილო? გავივირავა დედაშ.

მასიკოს ფერმა გადაჰკრა. ნიკო სტყუოდა, მაგრამ იგი მიხვდა რისთვისაც და ხმა არ ამოიღო.

— ვის უნდა დააღაკებინო? გოგოს არა სცადა... თუ არ შემოდის, არ ვიცი.

— როგორ თუ არ შემოდის? რატომ არ ალაგებ, გოგო, ნიკოს ოთახს? მიუბრუნდა ქალბატონი მასიკოს.

მასიკომ თავი ჩაჰკიდა.

— არ მეცადა ბატონო, — ძლივს სთქვა მან და თითო კედელს ჩხიანა დაუწყო.

— როგორ თუ არ გეცადა? რა გაქვს შეტი საქმე? ქალბატონმა ისეთის თვალთ გადახედა მასიკოს, რომ მასუხი შეუძლებელი იყო.

საკვირველია, როგორ არ ესმით ამ ადამიანებს? განა მასიკოს არ უნდა შევიდეს ნიკოს ოთახში? არ უნდა სულ მასთან იყოს, ისუნთქოს მისი ჰაერით, უტკიროს თვალეში, დასტებეს მისი ღაზნაკით?! ეს რამდენიმე დღე მისთვის ტანჯვად გადაიქცა. გული უგებნოდა, როცა მოაგანდებოდა, რომ ნიკო ნაწყენი იყო, მაგრამ რცხვენოდა. როცა შეხედავდა ნიკოს, თვალეებს უნებურად ძირს დახრიდა და შუბლზე ცივი ცივი დასსსნადა ხელმე და აბა მის ოთახში, როცა ნიკოც იქ იყო—როგორ უნდა გაქდო? რომ გამოეკლავნაკებოდა ნიკო—მასუხი არ უნდა გაეცა? თვალეებში არ უნდა შეეხედნა მისთვის? ნიკოს სიხლადე, მისი ფეხის ხმა, მოძრაობა, სულისთქმა, ხანდახან გულიანი ტკბილი დიდინი... დმერთო ჩემო, განა შეიძლება ეველაფერი ეს არ მოეხატროს ადამიანს? მაგრამ სირცხვილი?—ესლა კი, შეტი რა გზა აქვს!

დახე, ნიკოსაც როგორ უჭირავს თავი: სულ მოღუშულია, ერთხელაც სახეზე არ შეუხედნია მასიკოსთვის; მწერადის კიდეით ელაზნაკება... რაც საჭირო არ არის, იმას უბრძანებს ხელმე—კაი ქალია და ნუ გააკეთებს!



მისი ადარაფერი მისწონს, სულ უჯავრდება. როცა მაშეოთათხს ალაკებს, იგი მეორე თათხში იცდის, სხანამ არ მორჩება და არ გაზოვა. მერე შედის თათხში და გაჯავრებული კარებს მიაჯახებს ხოლმე.

რად სხადის ნიკო ეგრე, რათა სტანჯავს ამ უბედურს? ეს მარტო ნიკომ იცის—სხვა არავინ.

— მაშეოს სიკვდილი იქნა ბარელამ. ვაწეენიე მე დასამიწებელამ. ეელში ცრემლები აწეებოდა, ახრნობდა.

ძლივს! ნიკომ ერთ დღეს გაუდიმა; მაშეოს გული გაქსნა. მერე რადაცაზე გაქსურმა. მაშეომ კაილიმა— ხმა კი ვერ გასცა—არ შეეძლო. მერე დაბაბში ფრთხილად ხელი ამოჭკრა—მაშეო ადარაფერს ეუბნებოდა— მხოლოდ წითლდებოდა.

ნიკო სადღაც უნდა წასულიყო. სარკის წინ იდგა და ახალახის დილებს იბნეკდა. მაშეო გვერდით უდგა და ხონა მზად ჭქონდა ჩაქემა.

— მაშეო, ერთი ეს დილი შემიბნიე. უთხრა ნიკომ და მისკენ მოტრიალდა. მაშეომ ხონა გადასდო.

საუელს დილი იყო არც ისე ადვილად შესაბნევი. მაშეომ დილებს ხელი მოჭკიდა.

იგი ზირველად ეხებოდა ნიკოს ტანს, ზირველად უდგა ასე ახლს; მაშეოს მკერდი ნიკოს გულს ეხახუნებოდა. ნიკოს გულის მედგარი ცემა დინჯად და მძლავრად უკაკუნებდა მაშეოს მარჯვენა მკერდს, ხოლო მაშეოს გულის ფართხალი ნიკოს მარჯვენა მკერდში ეშმაკურად უღიბინებდა; და ამ ორ გულთა შუა გაბმული სიმი საამოდ ჟღერდა. ნიკოს ცხვირიდან, მისი სუნთქვა მაშეოს სწორედ ცხვირის წვერზე ეცემოდა. ეს იყო რადაც არახვეულებრივი, დამთრბებული სუნი...

მაშეო კანკალმა აიტანა, ხელეები ადარ ემორჩილებოდნენ.

ნიკომ ვეღარ მითმინა. მარცხენა ხელი ბრთხილად მხვია მაშეოს ბეჭებსე. მაშეოს, თითქო ელექტრონმა დაუნარა, შეკრთა და ის იყო უნდა ხელიდან გასხლტომოდა და გაქეეულიყო, მაგრამ ამ დროს ნიკომ მარჯვენა ხელი მოსჭიდა წელში და თავისკენ მიიზიდა. რამდენიმე წუთს ასე იეგნენ: ნიკო ზევიდან ქორავით დასცქეროდა თავის მხვერბლს, მაშეო-კი მწეერივით განბულიყო და ბედნიერის სხით მის ღვთაებას ქვეიდან მისჩერებოდა.

მაშეო მოეშვა, მოდუნდა. მისი ხელეები მოწედა დილებს და როგორც სურო ნიკოს კისერს შემოეხვია...

მგზნებარე ტუჩები ერთმანეთს შეეწებნენ.

ხანგრძლივი იყო იგი. მათ ჭსურდათ დაუსრულებულიც ეოფილიყო. თითქოს ორი არსება ერთმანეთს შეუსისხლხორცდა, ერთმანეთში გათქვიფა... მხოლოდ ადლებული გრძობით გამსჭვალული სულის-თქმის იმოდ, მაგრამ ეს ხაწილიც მათი არსებობის, ეს სურნელებაც არ ემეტეოდით ჭკერში გასაბეკვად და თითახვე ხარბად ისუნთქავდნენ.

ჭკერში ტბილი ხმა გაისმა.

მაშეოს თხვრა მოსკდა გულიდამ; შეხედა ნიკოს,

ტუჩები აუთამაშდა, თვალები ცრემლებით ავესოთავით და მის მკერდზე მიესვენა.

მაშეოს ზირველი უმანო ცრემლი დაეცა. ბედნიერებისა და სინახულის ცრემლი.

— რა გატირებს, მაშეო? ჭკითხს ნიკომ და ხაზად თავი გადუწია.

მაშეოს უნდა ეთქვა რამ, ეთხვენა ზატეებს, მიტეეებს. ეთქვა რასაც ეხლა იგი გრძობდა გულში, მაგრამ ვერ მოახერხა. არ იცოდა, როგორ აქსნა. ისევე კოცნა... კიდევე კოცნა!.. კოცნით თუ აუხსნის თავის გრძობებს, კოცნით აბანებს თავის გულის ზღვაში და კოცნითა და ადერსით გაბითხვოს მისგან ზატეებს.

მაშეოს არც კი ახსოვს, როგორ მოძორდა ნიკოს, ან როგორ გაჩნდა აქ... როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ მის საუვარელ ტუეში იჯდა და ბედნიერების ცრემლებს ღვრიდა.

— დვთის მშობელი დედავ, შენ გვედრები— ნუ წამამწარებ ამ ბედნიერებას, სთქვა მაშეომ, მოიწმინდა ცრემლები და სახლისკენ გაქმროთა.

მაშეოს ბედნიერება დლითი დღე ემატებოდა: როცა ცალკე იეგნენ—ნიკო ეადერსებოდა, ჭკოცნიდა, სულში უძვრებოდა. ნადირობიდან მოვიდოდა ნიკო თუ არა, ზირველად მაშეოს დაუძახებდა, ხანადირებს გადასცემდა და თანაც გაუცინებდა. ქალაქში გავიდოდა—და უთუოდ რსმეს უეიდა და მოუტანდა: ხან საკაბე მოჭქონდა, ხან საყურე, ხან ფეხსაცმელები. ერთხელ ოქროს ბეჭედიც აჩუქა. თუმიც მაშეო ამ საჩუქრებს ვერ აჩენდა, მაგრამ მისთვის მაინც ძვირფასი იყო. როცა ნიკო შინ არ იყო—ამალაკებდა ეველაფერს და ჩუმად ეადერსებოდა, ჭკოცნიდა.

ერთ დღეს, როცა მაშეო თათხს ალაკებდა, ნიკომ მოჭკიდა ხელი, მიიუვანა ლოკინთან, ჩამოჯდა და უთხრა:

— მაშეო, შენ სულ არა გაქვს ჩემი ხათრა.

— რაზე ბატონო? გაიკვირვა მაშეომ. და ერთგულ ზირუტევივით თვალებში შესედა.

— არ მდინხარ ჩემთან... არ მეადერსები. ზირველი შენ უნდა მხვიდე ხანდახან.

— ვაიმე ბატონო. სთქვა მაშეომ და დარცხვენილი თვალები ძირს დაუშვა. რავა ბრძახებთ მაგას? მე რავა გაგებდავ ზირველი?... არ ვიცი ვინა ვარ, თუ?

ნიკომ ადარაფერი უმანუს და გულში ჩაიკრა. მერე მოსჭიდა ხელი და წიწილივით მალა აიტაცა.

— ვაიმე, რას შობი, ბატონო? შეშინებული წამოიძახა მაშეომ, მაგრამ ვიდრე დაამთავრებდა, იგი ლოკინზედ გაჩნდა.

— ბატონო... შენი ჭირიმე... რას შობი?... სსლო წარვეთილი ევედრებოდა მაშეო, მაგრამ ნიკოს ადარაფერი ესმოდა. იგი გამხეცებული ჩასჭიდებოდა თავის მხვერბლს.

— ბატონო!!.. ისეთის ხმით წამოიძახა მაშეომ და ისე ძლიერად შეებრძოდა, რომ ნიკო უეცრად გამოერკვა

და ხელი გაუშვა. მაშეკო წამოიჭრა და გიჟივით გარედ
გავარდა.

ნიკო იმ დამეს შინ არ მოსულა.

მაშეკო გადაწხა უბედურებს, მაგრამ ესლას დაიწყო
მისი წამება. ნიკო სულ გამოიცვალა. არც ურადლებას
აქცევს, არც ხმას სცემს, ქალობატონთანაც ხშირად უჩი-
ვის. არც მაშეკოს სამსახური უნდა. მაშეკოს უყვარდა,
როცა ნიკო შავ ტანისამოსში იყო ხოლმე: „ამაში უფ-
რო კაი ხარ, ბატონო. ქალებსაც მოსწონხარ ამ ტანისა-
მოსში“ — ეტყოდა ხოლმე. მართლაც მოსწონდათ ნიკო
შავ ჩოხა-ახალურში და მაშეკოსაც ეს ახარებდა.. ესლას კი
მისი გამოფხვრებელი, ნიკომ არც ერთხელ არ ჩაიგვა იგი.

მაშეკოსთვის ესლას ცხადი იყო, რაც უნდოდა ნი-
კოს. მაშეკოს სულ სხვა სურდა: მას უნდოდა ნიკოს
აღერსო, კოცნა, მის მკერდზე დასვენება, მოფერება,
მისი სიტყვების გაგონება. ესლას კი ყველაფერი ეს გაჭი-
რა. აღარც უნდა მოელოდეს ყველაფერი დაიმარხა. მე-
რე შეუძლიან განა მაშეკოს გასძლას უამისოდ, დაივიწყ-
ოს ნიკო, გულიდან ამოიღოს? თუ დათანხმდეს?

არა, არასცხვით! ეს შეუძლებელია! მაშეკო უნდა
ცოცხელივ დაიმარხოს, ვიდრე ამას ჩაიდენდეს.

იქნებ გული მოიბრუნოს და უამისოდაც განახლოს
მაშეკოსთან აღერსო? აკერ მაშეკომ შიგ თავლებში შე-
ხედა და ზირველმა გაუღიმა კიდეც... გამოეკანკანა...
მის თათხშიაც შევიდა და უხერხულად გაჩერდა კარბო-
თან. ნიკო ისევ ის ცივი კლდეა, როგორც აქამდის იყო.

ბოლო აღარ აქვს ამდენ ტანჯვას!

წავიდე მანინ, მოშორდეს, იქნებ მაშინ დამშვიდ-
დეს მაშეკო და ასრულდეს ანდაზა: „თვალი შორ, გუ-
ლიც შორს“, მაგრამ სად წავა? გაზაფხულად. სცაა
ბატონებიც ჩამოვლენ და ნიკო სად უნდა წავიდე? არა,
აქ არის და შორს არის. უბედურებაც ეს არის!

ვის შესწივლას თავისი უბედურება, ვის გაუმხილას
გულის საიდუმლო? არავის! ერთად ერთი ტყე ჭეკვს,
სადაც შედის, ზის მთელი საათობით და ფიქრობს, ცე-
ნებობს. როცა იგი ტყეში თვალდახუჭული ზის, თავს
ნიკოსთან გრძობს ხოლმე. გრძობს მის ტუჩებს თა-
ვის ტუჩებზე, მკლავებს თავის ბეჭებზე, მის გულის
ძკერას... ესმის ტკბილი სიტყვები. გახეღოს თუ არა
თვალებს, თავში სულ ერთი და იგივე კითხვა გაუელ-
ვებს: „რა ვქნა?“

ზამთრის სუსხით გაფრქვნილი ზეტარა ლერწმები
ისევ მწვანით შემოსილიყო და კეკლურ ქალივით, თით-
ქოს თავის აშიეს ახელებს — მაცდურად გამოიყურებოდა.
ახლად გაშლილი დიდრონი ხეები გარს შემოკვრდნენ
დარაჯად და მოვარველის თვლით დასცქეროდნენ თავიანთ
მომავალ თაობას. ნიკოსაც კი არ აკარებდნენ, მაგრამ ტუის
სიმშვენიერით გრძობდა გახელებული მისი აშიეი, ცელქი
ნიკო მანინც არა სცნებოდა; მას არ აშინებდა დარაჯთა
მრისხანება და მუქარა. იგი ხან სად დაიკვანესებდა, დაი-
კისკისებდა და ხან სად. ამით იზურებდა არამკითხველ მოვარ-
ველთა ურადლებას... უხელოებდა თუ არა დროს — ზირ-
და დარაჯთ შუაში გაუსრიალებდა, ტყეში შეიჭრებოდა

და გაიმართებოდა უღარდელი ცელქობა... ხან ერთს იღ-
ლიაში უღიბებოდა, მეორეს ცხვირზე წაიჭრებდა წაჭ-
რავდა, მესამეს კმშაკურად თვალს ჩაუჭრავდა და კის-
მოდს უღარდელი, სიცოცხლით სავსე სიცილ-ხარხარი,
ურამული... ახლგაზღობით წაქეზებული ნიკო კანდიუ-
რად ჩაუჭრებოდა დარაჯებს და დამცინავის ხმით ზირში
შეჭნითხითებდა. მოხუცნი დარაჯნი ბრახობდნენ, ჯავრობ-
დნენ, მრისხნედ თავებს იქნევდნენ, წვეკებს იბერტყა-
დნენ, მაგრამ რას გააწვობდნენ: აქ იყო ახლგაზღობა,
აქ იყო სიცოცხლე, სჩქეფდა და სდუღდა ძლიერი სისხ-
ლი. მხუც თავს დასცქეროდა და იცინოდა. მაგრამ იგი კი
არავის დასცინოდა — მას უხაროდა და ახარებდა სხვასაც.

საბოლოო იყო მხოლოდ ის. იგი ზირდაზირ მაშე-
კოს წინ წამოკეზებულიყო და შესცინოდა. უნდოდა მისთ-
ვის ეთქვა რამ, ეტქირნა, მაგრამ ამ გიჟმაყის შიშით თა-
ვი გარედ ვერ გამოიყვია. გამოეკანკანოდა თუ არა მისკენ,
გულ-გახეთქილი თავის ბუჩქებში იმალებოდა. სხვების
ურცხვი საქტიელიც კი სიწითლეს ჭკვრიდა საბოლოოს.

ეს ბუჩქების ჭკმობნა მაშეკოს კითხვას დასტურით
უხასუხებდა.

მთვარიანი ღამე იყო. დაღლილი ბუჩქები ძილს მის-
ცემოდა. მხოლოდ გიჟმაყი მდინარე არა სცნებოდა და
თავისი განუწყვეტელი მხუილით მოსვენებას უფროთხობ-
და არე მარეს. ეს ხმა ჭკერში ნემსებივით იმსჯვლებოდა
და ადამიანის გრძობას ალიზანებოდა. ადამიანიც და-
მორჩილებოდა მას. ნიკოს მძლავრ მკლავებში გაჭდუე-
ლი მაშეკო, ცრემლით ესლმებოდა თავის უმანკობას.

ნიკო მეორე წელიწადსაც დარჩა. ან სად უნდა წა-
სულიყო? თავის სახლში ელოფნას აქ ცხოვრება უჩიფნა.
უსაქმრობა, დროს ტარება, ქალები, — აქ მეტი იყო,
ვიდრე თავის სოფელში. თავის ოჯახში, რაც უნდა იყოს,
უნდა იმუშოს, გააკეთოს რამე. მართალია, მამა მისი
ყველაფერს თავის ხელით აკეთებდა, მაგრამ ხანდახან
ესეც უნდა დახმარებოდა. აქ-კი ბატონი იყო. ყველაფე-
რი მზა-მზარეულად მოსდიოდა. სცაა ბიძა თავის ოჯახო-
ბით ჩამოვა: კვლავ გასიშის ბავშვების ყრიაშული,
როიადის ხმა და ვხეინას სიმღერა. ერთი სიტყვით ნი-
კო ამ ქვეყნაურ სამოთხეში იყო.

მაშეკოსაც მეტი არა უნდოდა რა — ნიკო უფილი-
ყო მხიარული... არის კიდეც, მაგრამ სხვებთან, სხვა
საზოგადოებაში, მაშეკოსთან-კი... რაღაც დაემართა. ამ
ბოლო ხანებში სრულიად გამოიცვალა, ურადლებასაც არ
აქცევს, აღარც უყურებს ხოლმე. ხშირად უმიზეზოდ
უჯავრდება კიდეც. ხანდახან ისეთის თვლით გადმოხე-
დავს, რომ მაშეკო მზათას დედამიწაში ჩაძვრეს, მაგრამ ახ
რას ეტყვის, რას გაუბედვს? არც იცის, ვერ გაუგია —
რატომ ეტყვის ასე ნიკო!.. ხშირად ერთად წვანხ, მა-
გრამ ნიკო ხმასაც არა სცემს, ერთ სიტყვასაც არ ეტყ-
ვის... შეიძლება ზოგჯერ ავტოტოს — ისიც უგემურად,
ხაძლადღევად, რადგან მაშეკო სთხოვს ხოლმე. დაუძახებს,
შეიყვანს თათხში და ისევ უბრად გამოისტუმრებს.

მაშეკო არასოდეს არ ეწინააღმდეგება მის სურვილს,

ბრძანებს. იგი სულ თავლებში შესტკერის და ელის ბრძანებს. ვერც ვერას ეტყვის.

— რომ ეწეინოს და გამიწერეს?

მაშვიკო გულში იკლავს ამ ბოღმას და მხოლოდ წარსულის მოგონებით სცოცხლობს. ელოდება იმ წუთს, როდესაც ნიკო ეტყვის, მივიდეს თანხში ან სადმე ადგილს დაუნიშნავს. მაშვიკოს ძველის მოგონებით თავლები ცრემლით ევსება. იმ უბედურ დამემდეგ ნიკოს ალერსი, მისი ადგზნებულები კოცნა, გულში ჩაკვრა, მისი დიმილი ზირველსავე დანახვაზე. იმ დამის შემდეგაც ცოტა ხანს გავრძობდა ეს ბედნიერება. სულ ორი კვირა მგონი, არც კი ახსოვს. ესეც იმედს არა ჰქარავს მაშვიკო: დაუძახებს თუ არა ნიკო, მიდის და თანაც ჰფიქრობს: „აი ესეა, მხოლოდ ერთი ძველებური კოცნა, ალერსი“! მაგრამ ამაოდ.

— ალბად მოვბეზრდი. მე რა საკადრისი ვარ მისთვის? ცოტაა ქალობები თუ? ჰფიქრობს მაშვიკო. მხოლოდ ნუ წავა, თავლის დანახვაზე ნუ მოშორდება და სხვას არას დაეძებს. მის ახლას იყოს, მას უტყობს.

ეს იყო მისი უკანასკნელი ნუგეში.

სადილობის დრო იყო. გრძელ სუფრას სტუმრები შემოსილდომდნენ და მადიანად შეეჭყეტოდნენ. არანუგეზობრივი სიცოცხლე ეტუბობდა ეველას. აქ იყო ნიკოს მოხუცი მამაც. დაზარაობდა თითქმის ეველას ერთად. ისმობდა მხოლოდ: „ბედნიერია“, „მდიდარია“, „კნიაჟნა“ „დედის ერთა“ და სხვა.

— აბა ბატონებო, წამოდგა ნიკოს ბიძა. მიუფლოცოთ ბედნიერება ახალ სსიძის! დემრთმა გავბედნიეროსთ. კარგი ქალია, კაი გვარბიშვილი, მდიდარი, შენც კაი ბიჭი ხარ, და სქიმეს კარვად წაიყვანო! მამილოცავს ჩემო დისწულა! და ნიკოს ჭიქა მიაჯახა. ეველანი წამოდგნენ და მიულოცეს.

მაშვიკო კუთხეში იდგა და გაშეშებული მისჩერებოდა ამ ამბავს.

„ნიკო ცოლს ირთავს“, გაუეღვა მას თავში. გული მოკეკუმს, თავლები დაუბნელდა, მუხლები აუტანსცხდა და იქ რომ არ წაქეუელიყო დერეფანში, გავიდა და იქვე სკამზე დაეშვა.

სასადილოდან ისმობდა მრავალ-ჟამიერ, ქალების კისკისი და ჭურჭლის ჩხარუნი.

— მაშვიკო! მოესმა კნიენას ხმა.

მაშვიკო წამოიჭრა, გადისვა შუბლზე ხელი, მოიწმინდა თავლები და შევიდა. ნიკოს შეხედა. იგი კართული იყო ქალებთან არბიუობაში. ნუ თუ ამ უკანასკნელ წუთსაც არ შეხედავს მაშვიკოს? არ გაუღიმებს? ამიერიდგან ხომ ეველათერი გათავდა მათ შორის, დაიმარხა?.. არა! ნიკოს არა სცალიან. იგი ბედნიერია, მაგრამ ეს ბედნიერება მაშვიკოსთვის არ ემეტება. იგი ამას თავის წრის ქალებს უზიარებს: ხან ერთს გაუცინებს, ხან მეორეს გაუხუმრებს, ხან მდერის. მაშვიკოს ცარიელ თეფშს გადასცემდა, მაგრამ კი არ შეხედვდა. ამ დროს იგი მის გვერდით მჯდომ კნიაჟნას თავლებში შესცინობდა.

მაშვიკოს უნახავს ნიკო ასე ბედნიერი, მისთვისაც გაუცინია ასე მხიარულად, შეუხედნია ასეთივე თავლებით... ესეა-კი!..

— „მე სულელს აბა რა მეგონა? მე ხომ არ შემირთავდა?.. ჰფიქრობდა მაშვიკო. ქე ვიცოდი, ასე მოხდებოდა, მარა ე სამიწე გული მანც ვერ ითმუნს. არ მეგონა თუ ასე მოხდებოდა გულზე. დემრთმა ბედნიერება მოგცეს“.

მაშვიკოს ცრემლები ახრჩობდა.

სადილი გათავდა. შეზარბშებული სტუმრები აიშალნენ.

— აბა, ცხენები! დაიძახა ვილანამ.

ბიჭებმა ცხენები გამოიყვანეს, მეეტლებმა ეტლები მოაყენეს.

მიდიოდნენ—დედს უნდა ქალი დაენიშნათ,—ხვალ კი ჯვარს დაიწერდნენ.

მაშვიკო გარეტიანებული იყო. თითქმის გრძნობდა სრულიად მიუხებოდა—გიჟივით გამოიურებოდა. იგი სხლის კუთხეში იდგა და ჩუმად თავს ადევნებდა.

წასასვლელად მზად იყვნენ. დასძახეს, მარული და გაემართნენ.

ნიკო მარდათ მახსტა ცხენს და მათრახი შემოჰკრა. გაწვრთნილი ცხენი შედგა ეაღუზე და როგორც ჯვირანი ადგილიდან მოწყდა.

მაშვიკოს წუთით დაავიწყდა თავისი უბედობა, უკანასკნელად კიდევ გაიტაცა ამ მშვენიერმა სანახაობამ,—ველარ მოათმინა, მოშორდა სხლის კუთხეს და წინ წამოიწია.

— აა... სიძე, სიძე!.. კაისმა სტუმრების აღტაცებული ხმა.

ამ დროს ნიკოს ცხენი ჯვარსავით შემოტრიალდა უკან ფეხებზე და ნიკოს და მაშვიკოს თავლები ერთმანერთს შეხვდნენ.

— მშვიდობით, მაშვიკო! მიაძახა ნიკომ, შემოატრიალა ცხენი და გააჭენა.

— მშვიდობით, ბატონო! ერუდ წამოიძახა მაშვიკომ და ეელში ცრემლები მოაწვა.

აღარა სჩანდნენ. ეტლებისა და ცხენების ფეხის ხმაც კი მისწყდა. მხოლოდ სიმღერა ისმობდა ოღნავ.

მაშვიკო ადგილიდან ვერ იძვროდა.

„...მშვიდობით!.. უკანასკნელად ამოხვდა მაშვიკოს გულიდან, შემოტრიალდა და გიჟივით ტყისკენ გაიტცა. ტყეს ფოთლები ჩამოცვივნობდა... აღარ შრიალებდა. დიდხანს იჯდა და სტიროდა. როცა ტირილით გული იჯერა, მოიწმინდა თავლები და ამოიკვნესა:

— ჩემო საუვარელო ტყევ, შენ გავარე ჩემი ზირველი კოცნა. შენშივე გამარხავ ჩემს ზირველ სიყვარულს“.

ერთხელ კიდევ ხანა მაშვიკომ ნიკო. ეს იყო ორი წლის შემდეგ. ქუთაისის ბაზარში, საცა ჩარაზმულია ხოლმე კადათები და გოდრები ხილითა და ეველით. მაშვიკოც ამათ შორის იყო. ეველით სავსე ზატარა კადათს თავს დასდგომდა და მუშტარს უთავაღთავლებდა. ნიკომ, ცოლთან ხელგაყრილმა წინ გაუარა, მაგრამ

მთის არწივი უამილი

ისტორიული ამბავი

ქართული
ენის
საზოგადოებრივი
ცენტრი

IV

ვერ იცნო. მაშეკომ ვეღარ მოითმინა და გამოეხმაურა. საკვირველიც არ იყო. უფთხელ მაშეკოს ახრდილიც არ დაჩენილიყო. ეს იყო ჩინხი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სამარადის - ამოდებული მიტვალეული. სად გაჭქრა მისი ვაშლივით წითელი ლოყები, ტუხები, ან კულუღა თმები. კერე რიგად რამ გაუსწარა, რამ გაუთხელა?!.. მკერდი ჩავარდნილი, ბეჭებში მოხრილი. მხოლოდ თვალებში და შეჩენილად ცოტადენი ცეცხლი, მაგრამ ეს ცეცხლი იყო მხოლოდ ესლა, ნიკოს დანახვასე. წაფა და ისიც ჩაჭქრება.

ნიკომ გაუღიმა, მოაკითხა: როგორ არის? ხომ არ გათხოვილა? ამაზე მაშეკომ აღარაფერი უნასუნს, მხოლოდ თვალები ძინს დაუშვა. ...არა, იგი არ გათხოვილა! ნიკომ თავისი ცოლი გააცნო. მაშეკო დაიხარა და ქალბატონს მოწიწებით მუხლს ქვემოდ კაბახე აკოცა. წასვლისას ნიკომ ქალადის იფული ჩაუდო ხელში მაშეკოს და უთხრა — რამე მის სხსხსოვრად ევიდნა.

მაშეკომ ორივე ხელები სტაცა ნიკოს ხელს, მიიკრა ტუხებზე და დიდხანს ჰკოცნიდა. ნიკომ სისველე იგრძნო ხელზე და უცბად გამოსტაცა.

მაშეკო თვალცრემლიანი მისჩერებოდა მიმავალ ნიკოს და არ იცოდა, რა ექნა — ეცინა თუ ეტირნა... დასტაცა ხელი თავის კალთას. ამოიღო ილღაში და გაუდგენა. იგი მიდიდა შუა ქუჩაში და როგორც დამფრთხალი ზირუტევი შესტკერდა ნიკოს.

„უთუოდ მოახედავს... ერთხელ კიდევ შეხედავს მაშეკოს... აგერ ვიდაც ქალებს შეხვდა... გაუცინა, მიუსაღმა, ხელებზე აკოცა. გაჩერდნენ. სიცილი და ღაზი-რაკი ისმის, მაგრამ სიტუაციას ვერ არჩევენ. ნიკო ღაზი-რაკებს — ქალები იცინიან. აგერ შემოტრიალდა ნიკო და მაშეკოს შეხედა. გაუღიმა. მაშეკოს უფრო გაუბწყინდა სხე და უნებურად მისკენ გაქანა. მაგრამ ნიკო უცბად შემოტრიალდა და ზურგი შეაქცია. წავიდა. აგერ მიდიან. მიიციანიან. ერთ დიდ ღამეზე სხლში შევიდნენ. მაშეკო შედგა და სხლის კარებს მიახერდა. მაგრამ სხსნამდის? იქნებ ეს არის ნიკოს სხლი და დღეს სულაც არ გამოვიდეს ქუჩაში.“

მაშეკომ ხელში ქალადი იგრძნო. მოაკანდა ნიკოს სიტუაციები: „სხსოვრად რამე იყიდე“. მაგრამ რა? რა იყიდას? ამაზე უკეთესი სხსოვარი განა რამე იქნება მისთვის? განა ამ ფულს გაიმეტებს და ვაჭარს ჩაუგდებს ხელში? ეს ხომ ნიკოს ჯიბეში იყო. იგი ხელით შეეხა ამას. მან თითონ ამოიღო და მაშეკოს გადასცა. არა, ეს საუკეთესო სხსოვრო იყო მაშეკოსთვის..

— „ამას შევიანსავ ჩემს გულთან... სიკვდილამდე... ბაბასაც კი არ ვეტევი, თვარა წამართმევს და დამიხარჯავს.“

მაშეკომ ქალადი გულის უბეში ჩაიღო.

ერთი წლის შემდეგ ნიკო თავის ცოლით ბიძის ესტუმრა. როდესაც მან სიმონის შავებში დაინახა და ჰკითხა: „რა ამბავია“, მოხუცს მიმქალვი თვალები ცრემლით აუვსო და ამოხხვრით უნასუნს:

— მაშეკო მამიკვდა, ბატონო...

ვალ. შალიკაშვილი.

გრაფ ვორონცოვს თან ახლდა ბრწყინვალე ახალგაზრდობა, რომელიც სახელისა და დიდების მოსახვეჭად დაიძრა პეტერბურგიდან შამილთან. საბრძოლოველად. ფუფუნებაში აღზრდილნი ლაშქრობას ისე უცქეროდნენ, როგორც სასიამოვნო გასიერებას და სრულიად არ მოელოდნენ, რომ გაჭირვებას იხილავდნენ კავკასიის მთებში. ცოდნით მარტო ის იცოდნენ ამ ქვეყნისა — რომ ლერმონტოვმა და პუშკინმა შეამკეს კავკასიის მთანი მშვენიერის ლექსებით.

აი სწორედ ამ ბრწყინვალე ახალგაზრდობამ აღარ მოუცადა საერთო იერიშის ნიშანს და ბატონიშვილ ალექსანდრე გესსენელის მეთაურობით მოჰქუსლა შამილის ბანაკისკენ, შეიჭრა ცხენდაცხენ ერთ ხერგზე და მისვლის უმაღ აიღო იგი.

მამაცმა და ვაჟკაცურმა შეტევამ და მისევამ მტერზე დიდათ გაამხნევა რუსის მხედრობა. გენერალი ბელიავსკიც დაიძრა ლიტვის ბატალიონით და ქართველთა მილიციონერებით ბრძოლის ველისკენ. ღიმილითა და ოხუნჯობით შევიდა რუსის მხედრობა დაბურულსა, ხშირსა და ჩამოზნელებულ ტყეში. გამხიარულებული მხედრობა ჩინჩხვარსავით ამტრევედა მტრის ხერგებს და დაუბრკოლებლივ წინ მიიწევა.

კარგ გუნებაზე მოსულ რუსის ჯარის წინ გადიშალა მშვენიერი არგუნის ხეობა, უცნაურად განათებული შებინდებისას. ნათელი დარგოდან მოდიოდა. სატახტო და საიმამო ბინაც არ დაინდო შამილმა და ცეცხლი წაუკიდა დარგოს.

რუსის მხედრობას მაინცა და მაინც იათად არ დასჯდომია ხერგების ზედიზედ აწება და გამარჯვებით წინ სვლა. მტერმა სასიკვდილოდ დაუჭრა გენერალი ფოკი. გრაფ ვორონცოვის ახალგაზდა აღიუტანტს დონდუკოვ-კორსაკოვს ფეხში მოარტყეს ტყვია *).

დარგოს ასაღებად გრაფმა ვორონცოვმა გაგზავნა გენერალი ბულიავსკი ორის ბატალიონით და ორის ქართველთა დრუჟინით. ცეცხლ-მოკიდებული დარგო რუსებმა და ქართველებმა ადვილად აიღეს. დანარჩენი რუსის მხედრობა დარგოს ავიდა იმავ საღამოს და დაბინავდა მის გარემო.

ამ გვარად გრაფმა ვორონცოვმა დაიპყრო შამილის სატახტო ბინა დარგო და მაშასადამე სავსებით შეასრულა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის ბრძანება. შამილის სადგომი სახლი, მეჩეთი, თოფ-

* ეს ის დონდუკოვ-კორსაკოვია, რომელიც დიდის მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძის შემდეგ მთავარ-მართველად იყო საქართველოში.



ხანა და ზოგი სხვა შენობა ცეცხლის ალმა შთან-
თქა. ვორონცოვს იღა დარჩენოდა, რომ სამშვი-
დობოში დაბრუნებულიყო საცერემონიო მარშით.

მაგრამ ბედმა სულ სხვა ინება. რუსებმა რომ
თვისი საომარი გეგმა შეასრულეს, ჯერი ახლა შა-
მილის გეგმის ასრულებაზე მიდგა.

წინასწარ დამარცხების შემდეგ შამილს თავი
ისე ეჭირა, თითქოს გამარჯვებული იგია და არა
გრაფი ვორონცოვიო. სულის დაცემისა ნიშანიც
არ ემჩნეოდა მარის არწივს. ომი ახლა იწყობო,
ეუბნებოდა შამილი თავისიანებს და მახლობელთ,
ენახოთ რუსები როგორ გაიტანენ თავიანთ ძელებს
ისკერიის ტყეებიდან. თითქოს არაფერი მომხდარო,
თითქოს დარგო ძველებურად ხელოვნლებელია, ისე
არხენად ეჭირა თავი შამილსა. რუსების თვალ წინ
შამილი სწვრთნიდა რუსთა გამოქცეულ სალდათე-
ბისაგან შემდგარ ბატალიონს და საცერემონიო მარ-
შით აატარ-ჩაატარებდა ხოლმე ამ ბატალიონს.

დარგო ხომ რუსის მხედრობამ დაიჭირა და
დაბანაკდა, მაგრამ მის მიდამოებში ფაცი-ფუცი არა
წყნარდებოდა. ეს უცნაური ფაცი-ფუცი კარგს არას
მოასწავებდა ჩვენთვისაო, ბრძანებს ისტორიკოსი.
შამილს ახალ-ახალი რაზმები მოსდიოდა საჩაჩნოდან
და რგოლივით გარს ევლებოდნენ ხათანგში მომწყ-
ვდელ რუსის მხედრობას.

დიდის ხნით გაჩერება გადამწვარსა და გადა-
ბუგულ დარგოში შეუძლებელი იყო, რადგან სურ-
სათი სრულებით გამოელიათ რუსებს, ადგილობრივ
კიდევ არაფრის მოხერხება არ შეიძლებოდა. უკან
დაბრუნება ანდიით, იმ ტყის გზით, სადაც ექვს
ივლისს ფიცხელი ბრძოლა გამოიარეს რუსებმა,
უხერხული იყო, რადგან ამ გზით სიარული და-
მარცხებულის გაქცევას ემგვანებოდა. მეტი ჯანი
არ იყო, ისევ წინ უნდა წასულიყვნენ და აერჩაათ
ს. გერზელის გზა, რომლითაც დაბრუნდა 1842
წელს ძალზე დამარცხებული გენერალი გრაბზე.

გრაფ. ვორონცოვმა გერზელის გზა აირჩია და
გადასწყვიტა ამ გზით შინ დაბრუნება, მაგრამ ვიდ-
რე ჯარი აიყრებოდა და შინისაკენ პირს იბრუნებ-
და, საჭირო იყო დარგოში დარჩენა რამდენიმე
დღით, სანამ ანდიიდან სურსათს მოაშველებდნენ.

10 ივლისს 1845 წელს გამოჩნდა ანდიის მხრი-
დან სასურველი ტრანსპორტი სურსათით. ტრანს-
პორტს თან ახლდა ძლიერი რაზმი თ. ვ. ბებუთა-
შვილისა. დიდი გამოცანა არ იყო საჭირო იმისი,
რომ შამილი უვნებლად არ გაუშვებდა ბებუთაშვი-
ლის რაზმს, ჩაუსაფრდებოდა დარგოს დაბურულ
ტყეში და ეცდებოდა სურსათის წართმევას, რომ
რუსები შიმშილით გაეწყვიტა. ამის გამო გრაფმა ვო-
რონცოვმა წინ მიაგება მთელის თვისის მხედრობის
ნახევარი გენერალ კლიუგენაუს უფროსობით. კლიუ-
გენაუს რაზმის ავანგარდს წინ უძღოდა მამაცი და

მთიულებთან ომში გამოცდილი და მეტის-მეტად
მხნე გენერალი პასსეკი.

ისტორიკოსი ესაძე ასე აგვიწვინებს: „სადაც კი
ყვით ამ უბედურს ლაშქრობას გენერალ კლიუგე-
ნაუს რაზმისას. რაზმი დაიძრა დილა ადრიან და
შეძყო თუ არა თავი დაბურულ ტყეში, კანტა-კუნ-
ტად გაისმა თოფის სროლის ხმა. მოწინავე ბატა-
ლიონი მიდიოდა წინ, მაინც და მაინც დიდ დაბრ-
კოლებას არავინ უჩენდა. აქა-იქ თუ შეეხებოდა
ხოლმე მტრის პატარ-პატარა ჯგუფებს, თოფის სრო-
ლით იგერიებდა და გზას ისე იკვალავდა. ბატალიო-
ნი მიადგა ვიწრო, პატარა ბილიკს, რომელიც აერ-
თებდა ორ დიდ ხევს. პასსეკს ეგონა, ალბად ბილი-
კი ჩახერგილი იქნებოა, მაგრამ ჩახერგისა არაფერი
ეტყობოდა იქაურობას.

გენერალი პასსეკი ხმალ-ამოღებული მიუძღო-
და წინ თავის ბატალიონს და „ურას“ ძახილით გა-
დიქრა ხევის მეორე ნაპირზე. საოცარი ის იყო,
რომ მთიულებმა მარტო ორჯერ-სამჯერ თუ ესრო-
ლეს თოფი პასსეკის რაზმს, იმის მაგიერ რომ ესარ-
გებლნათ ვიწრო ბილიკით და სეტყვასავით დაეყა-
რათ ტყვია-წამალი.

ომში გამოცდილ პასსეკს გულმა კენესა დაუ-
წყო. ხის ტოტების ლაწა-ლუწი ისმის, თოფის სრო-
ლა კი არ ისმისო. მთიულები დიდის ოსტატობით
სარგებლობენ ხოლმე მუდამ ჟამს მოხერხებულის
ადგილ-მდებარეობით, თავს ესხმიან რუსებს,—და
ახლა რა დაემართათო, ჰფიქრობდა თავის გუნებაში
პასსეკი. განა ამისთანა მოხერხებულ მდებარეობას
თავზე დასასხმელად, როგორიცაა ეს ვიწრო გადა-
სავალი, ხიდსავით გადებული ორ ხევს შუა, ბევრს
იპოვნის შამილის მხედარ-მეომარნი?

ყველაფერი მალე გამოიჩვენა. შამილმა განგებ
მისცა პასსეკს საშუალება უბრძოლველად გადასუ-
ლიყო ხევის მეორე ნაპირზე. რაკი პასსეკი გადი-
ტყუა მეორე ნაპირას, შამილი მთელის თავისის
ძალ-ლონით თავს დაეცა გენერალ ვიქტოროვის უკა-
ნა რაზმს. როდესაც გენერალ ვიქტოროვის არიერ-
გარდი გაება ჭაობიან და მოლიბულ ხევის ფერდო-
ბებში და როდესაც საცალოებ აკიდებული ჩაღვა-
დრის ცხენები წეროებსავით გაიქმნენ, სწორედ მაშინ
მიწის მგლებსავით გამოხტნენ ჩასაფრებული მთიულ-
ნი და მიესივნენ ყოველის მხრიდან. ხმლითა და
ხანჯლით დაუწყეს ღუმასავით კეპვა მოულოდნე-
ლობისაგან ელდა ნაკრავ რუსებს. ენით გამოუთქმე-
ლი და კალმით აუწერელი ხელჩართული ბრძოლა
გაიმართაო, ამბობს ისტორიკოსი. გაჰქრა დანდო-
ბა და შეწყალება. გაბოროტებულმა და გააფთრე-
ბულმა მთიულმა ზედ დაანთხია თვისი ნაღველი გო-
ნება-დაბნეულ რუსის მხედრობას და თითქმის სავ-
სებით გასწყვიტა ვიქტოროვის არიერგარდი. მოჰკ-
ლეს გენერალი ვიქტოროვი, პოლკოვნიკი კრივო-
შეინი. ცოცხალნი ვერც დანარჩენი აფიცრები გა-

დარჩნენ. სურსათის მისაღებად გამზადებული ცხენები საცალოებით შამილმა წაასხა.

თვალთ მნახველი ამ საშინელის ხოცვა-ჟლეტისა მილიციონერი, თუში ღვთისავარ ცისკარაშვილი, პაპა ლევან ცისკარაშვილისა, ცოტა სხვანაირად უამბობდა თურმე რუსების გაჟლეტის ამბავს მეზობლებს, თავისიანებს, შვილებსა და შვილი-შვილებს. სამწუხაროდ მხოლოდ ის დაგვრჩა, რომ დანადგირებით ვერ გადმოგვცეს, გენერალ ვიკტოროვს შეეხება ცისკარაშვილის მოთხოვნა, თუ პასსეს.

აი რას მოუთხოვდა მოხუცი, ათას ჭირს გამოვლილი მილიციონერი ღვთისავარი შთამომავლობას: რუსის ჯარი, ხიშტებ-გაშვერილი და „ურას“ ძახილით შეიჭრა ერთს ფიჩხითა, ხის ტოტებით და კუნძებით ჩახერგილ ადგილშიო. საიდგანდაც ხერგიანს ადგილს ცეცხლი გაუჩნდა, საშინლად იფეთქა რაღამაც და ალი ავარდაო. კვამლსა და ჯანყში გახვია ჯარი, გაშტერდა, გაშეშდა და ადგილიდან ვეღარ დაიძრა, ვერც წინ მიდიოდა და ვეღარც უკან დაიხია. გაშვერილი ხიშტები ხელში მაგრად ეჭირათ და ძირს დაღებას ვეღარ ახერხებდნენო. ეტყობა შამილს ფიჩხისა და კუნძების ქვეშ თოფის წამალი ბლომად დაეწყო და სწორედ ამ წამალმა იფეთქა, ცხელი ტყვია რომ მოხვდაო.

გაშეშებული, ხიშტებ წინ გაწვდილი ჯარი კარგა ხანს იყო გაჩერებული ერთ ალაგას და ბოლოს მორთო გულშემზარავი საქონლისებური ბლავილიო. სწორედ ამ დროს მისცივიდნენ ლეკები და დაუწყეს ჩეხა ხმლითა და ხანჯლებითაო.

გენერალი რომ დავინახე სხვებსავით გაშტერებული, მივვარდი და ხმა მალლა მოვახსენე—რას გაჩერებულხართ. გაეცალეთ ამ ჯოჯოხეთსაო. რადგან გენერალი არ იძროდა, ვსტაცე ხელი და წამოვიყვანე ძალით, მაგრამ უკან გამობრუნებულს ტყვია მოხვდა და ხელში მომიკლესო.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩახერგილმა ადგილმა იფეთქა და გაშტერებული ჯარი ბლაოდა, მახლობელ მთის სერზე გამოჩნდა თვით შამილი თეთრ უმტვერო დოღბანდით მობურვილი. გძელ ლეჩაქს დოღბანდისას ნიავე არხევდა და უცნაურ სურათს აძლევდა ახოვან ტანის პატრონს შამილსაო. ახალგაზდა ქალთა გუნდნი გარს ეხვია იმამს და საამურ სიძღვრებს ამბობდნენო. ქალთა სიმღერა ვაჟაკობას უორკეცებდა მთიულებს, ჰმატებდა გულადობას და ისეთის თავგამოდებით იბრძოდნენ, რომ მე ბევრის მნახველს ამის მზგავსი არა მინახავს რაო *).

**) ეს ამბავი გადმოგვცა ივ. ბუჭურაულმა.—თუშეთი სავსეა ასეთის საგმირო ამბებით. ურიგოს არ იზამენ ჩვენი ნასწავლი მთიულნი, რომ ჩასწვრდნენ ამგვარ ამბებს და გაამდიდრებდნენ მოთხოვრებით ქართულ ლიტერატურას.

ღვთისავარ ცისკარაშვილის მოთხოვნა მეტად საყურადღებო და თან საოცარია. უბრალო მომავდავი, უბრალო კაცის შთამომავალი რომ ყოფილიყო შამილი, იმისთანა საარაკო სამხედრო ხერხვერ მიმართავდა, როგორსაც მიმართა შამილმა ჯარის კაცთა გასამხნეველად. ამ გვარი ხერხი და ოინი ხვედრია დიდ ბუნებოვან სარდლისა, დიდის ჭკუა-გონების ადამიანისა და ადმინისტრატორისა. უბრალო მთიელი, უბრალო ჯარის-კაცი, თვით სამაგალითო და შეუღარებელი მეჩარიც რომ იყვეს, ვერ ჩაიდნენ იმას, რაც მოიქმედა შამილმა 10 ივლისს 1845 წელს დარგოს ბრძოლაში. აშკარად სჩანს, რომ შამილის სისხლი ნარევია. მის ძარღვებში ალბად სჩქებდა სისხლი ისეთი მამისა, ვისი წინაპარნი, ან თვითონ მამა ჩვეულნი იყვნენ ქვეყნის ბატონობას და გამგეობას.

ა. ფრონელი

(შემდეგი იქნება)

თ ე ა ტ რ ი.

ეგვლამ უწყის რანაირად სწერდა ჩეხოვი. მისი დამახსიათებელი თვისება მინიატურა იყო, მოკლე, სხარტულად. „გი დე მამასნის შემდეგ შეუძლებელია ისე წერა, როგორც ძველები სწერდნენ“, სწერდა ის ერთხელ და მართლაც, როცა ჩეხოვის მოთხრობას კითხულობ, ვერ წარმოგიდგენია, შეიძლება მისი გადიდება, გაჭანურება. ამბობენ, ჩეხოვი ერთი მოთხრობის წერას მხოლოდ ერთს დღეს ანდამებდა. შეიძლება, ის მოთხრობაც სიადნაც არის გადმოკეთებული „შავი ბერი“ სწორედ ერთ დღეში არის დაწერილი, ან ბანაობის დროს აუხში. ტოლსტოის რომ საკუთრად ადგილგუნდა შავ ბერსედ და ისე დაეწერა დროს, შესაძლებელია სიანტერესო რამ ეოფილიაყო. მაგრამ მან აიღო იგი ისე, როგორც ეს ჩეხოვს აქვს. ჩეხოვს კი ერთი მატარა მოთხრობა აქვს, ვინ იცის რისთვის და რა აზრით დაწერილი. ეოველ შემთხვევაში ამ მოთხრობიდან რამე „დასკვნის“ გამოყვანა ეოვლად შეუძლებელია. თვით დიდსა და ნიჭიერ მწერლებსაც კი აქვთ ზოგჯერ და ზოგი ისეთი თხზულება, რომელნიც ეოვლად უბრეტენზიონი არიან და როცა მათ კითხულობ, განიცდი მას, რასაც განიცდი მაშინ, როცა უცქერი დრუბელს, რომლის კანტური სიშინელის სისწრაფით იცვლება და ისიც ხან აქლემის ჭკავს, ხან ხბოს თავს და ხან ვინ უწყის რას. სწორედ ასეთ მოთხრობებს ეკუთვნის „შავი ბერი“. წაიკითხვ სიამოვნებით, მაგრამ ეოვლად შეუძლებელია მასედ იფიქრი. შინაარსიც და გარეგნობაც ასეთ მოთხრობის ხელიდან გაისვტებათ და სულ სხვა რამ ახლს ქქმნის. ეს რადაც სიზი ფანტაზიას ცნობრებისა.

სწორედ ასეთ მოთხრობიდან გადმოკეთებული ზიუ-

სა დასდგა ვფ. ადექსი—მესხიშვილმა თავის საბუნებისოდ. მაგრამ ისე მშვენივრად ითამაშა იგი, რომ იძულებული ვიყავით სიამოვნებით მოგვესმინა იგი—თუმცა ზიკსა, რომ გორც დრამატიული ნაწარმოებები მეტად სუსტი იყო.



ინგილოთა ყოფა-ცხოვრება

(ეთნოგრაფიული წერილები)

1.

მრავალ მხრივ საინტერესოა ინგილოთა ყოფა-ცხოვრება, მთელის საუკუნოების განმავლობაში ლეკთა და თათართა მტარვალობამ და ძალდატანებით აღმოფხვრამ ყოველივე ეროვნულისა თავისს საწადელს ვერ მიახწია და დღესაც მრავალს ჩვეულებასა და ადათსა ვხვდებით ინგილოთა შორის, რომელთაც ეროვნული ელფერი და ხასიათი არამც თუ არ დაჰკარგვიათ, პირიქით სავსებით შენახულან. მიუხედავად ასეთის ინტერესისა, საინგილო ანუ ძველი გაღმამხარი მეტად ნაკლებად არის ცნობილი ქართულს მწერლობაში. თვით საქართველოს გეოგრაფიის მამათ-მთავარი ბატონიშვილი ვახუშტიც ძალიან მცირეს და ხშირად შემცდარს ცნობებს იძლევა საინგილოს შესახებ. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ დროგამოშვებით მივაწოდოთ ხოლმე მკითხველს ინგილოთა ყოფა-ცხოვრების იმ მხარეების აღწერა, რომლითაც იგი განირჩევა, არამც თუ დანარჩენ საქართველოსაგან, არამედ **მეზობელ ერთაგანაც.**

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით ინგილოური ტიპი არ არსებობს. ინგილო გარეგანი შეხედულობით იგივე ქართლელი ან კახელი გლეხაკია და მხოლოდ ზოგიერთგან შეხედებით, მაგრამ ისიც იშვიათად, ტიპებს, რომელნიც თათრულს—ადერბეიჯანულს მოგავიწყებთ, რაც რასაკვირველია, თათრებთან შერევის ზეგავლენით აიხსნება.

ინგილოები საზოგადოდ ფერმკრთალები არიან, იშვიათად შეხედებით წითურსა და ღაჟღაჟა ლოყებიანებს. მზისაგან სპილენძის ფერად ჩაშავებული ტიპები აქაც, როგორც დანარჩენს საქართველოში, ხშირად გვხვდებით; სახის გამომეტყველება უსიციო-ხლო აქვთ, მიხვრა-მოხვრაში სიმკვირცხლე, სიჩქარე არ ეტყობათ—იგივე დარბაისელი, აუჩქარებელი ქართლელი წარმოგიდგებათ თვალწინ, რომელსაც ჩქარი ლაპარაკიც კი ვერ მოუხერხებია.

ინგილოს სახის გამომეტყველება მუდამ სევდიანი და მოქუშული აქვს. რასაკვირველია, თუ

მართალია ჯავახიშვილის სიტყვები, „არც ერთს არა აქვს ისეთი სევდიანი სახე, როგორც ქართველსა“, მაშინ ეს სავსებით ზედგამოჭრილი უნდა იყვეს ინგილოზედ. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ინგილოთა წარსულშია, რომელიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში მწარე მონობის მძიმე უღელს განიცდიდა.

ქალებში არა იშვიათად შეხედებით ლამაზებსაც, მოხდენილის, მხოლოდ განიერის პირისახისას და მხარბეჭისას, კუნაპეტივით შავის თვალებითა და გიშრის ფერ ნაწნავებით.

ჩაცმა-დახურვა მამაკაცისა ბევრ არაფრით განირჩევა ქართლელ ან კახელთა ჩაცმულობისაგან. იგივე ჩოხა, ახლოხი და ქალამნები. ეს არის მხოლოდ: კაცებს ზამთარია თუ ზაფხული, რამდენიმე ახლოხი აჯაჯვიათ, ორი, სამი და ზოგჯერ მეტიც. ამდენი ტანისამოსი აცვია ინგილოს ზაფხულის ცხელს დღეებშიაც და მხოლოდ საკინძები ყველა ახლოხებისა მუდამ გახსნილი აქვთ ზამთარ-ზაფხულს და ისე დაიარებიან. თავზედ ყველას განურჩევლად დიდისა და პატარისა უშველებელი ცხვრის თბილი ფაფახები ჰხურავთ. ზაფხულის ცხელს დღეებშიაც კი არ იშორებს ამ ფაფახს ინგილო და, ასე გაშინჯეთ, ღამითაც ხშირად ამ ფაფახში სძინავს, რისგამოც თავი მუდამ უსუფთაოდა აქვთ და ამიტომ ქეცი განუყრელი სტუმარია ბავშვებისა მაინც. ზამთრის სიცივეებში იცვამენ ცხვრის კარგად გამოსულისა და მოთელილის ტყავისაგან შეკერილს ქურქებს. ამ ტყავებში ეწყობა ყველა—დიდი და პატარა და ხშირად ქალებიც. უფრო მდიდრები ზამთარში იცვამენ ბურუმა ქურქს—ეს საუკეთესო ცხვრის ტყავებისაგან შეკერილი წამოსასხამი ქურქია, რუსულ შინელის მინაგვარი, რომელსაც აქეთ-იქით ჩამოსთხვეს ვიწრო და გრძელი სახელოები, შნოს გულისთვის მიკერებული. ღარიბებს კიდევ ჩვეულებრივის ქურქის მაგიერ აცვიათ ესრედ წოდებული ჩოფუზი, რომელიც მოკლე სახელობიანი და გულზედ გაჭრილი უბეწვო იგივე ნაბადია, რომლის სიგანეც მუხლებს არ გასცილდება. განუყრელს კუთვნილებას შეადგენს კაცისას ხანჯალი. უხანჯლოდ წარმოუდგენელია ინგილო და ხშირად ისეთს დიდსა და უხერხულს ხანჯლებს ატარებენ, რომ გაკვირვებულია ადამიანი, როგორ არ შიობენ და არ უშლით ამოდენა ხანჯალი მუშაობის დროს მაინც.

ქალთა ჩაცმა-დახურვა კი დიდათ განსხვავდება, არამც თუ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, არამედ საინგილოში მცხოვრებ სხვა ერებისაგანაც. აქაური ქალის პირველსავე დანახვამდე ძალაუნებურად თქვენს ყურადღებას იქცევს განიერი, ფართო შარვალი, რომლის ტოტებიც წინდებში აქვს ჩატანებული და ქოშებსა და ჭრელ წინდებში გამოწყობილი ნელად დაიარებიან ქუჩებში. აღი-

ბათის ნაწილის ქალებს ეს შარვლები ანუ უკეთ რომა ვსთქვათ ნიფხვები ძალზედ ვიწროები აცვიან და შიგნით სარჩული უდევთ. არა იშვიათად შარვლებს ფერადის ათასნაირად აჭრელებულის ჩითისას იცვამენ, რაც მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზედ. ჩვეულებრივი კაბის ჩაცმა საინგილოში მიღებული არ არის, იმის მაგივრობასა სწევს **ლაბატა**. ლაბატა იგივე ახალუხია, ისეთივე როგორც კაცებს აცვიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო გრძელია, უკან ძალზედ ბევრი ნაოქები აქვს და სამი-ოთხი გოჯის სიგრძე სახელოები. სახელოების მაგივრობასა სწევს პერანგი, რომელიც მარტოდ-მარტო ჰფარავს მკლავებსა. გარდა ამისა ლაბატს არა აქვს საყელო, წინ გული ღია, პერანგისავე ამარად და მხოლოდ წელთან იკვრის ორთავ ტოტი ლაბადასი დუგემებით ან ბაწრით. ლაბადს წინ ჩამოფარებული აქვს **მაიზორა** ანუ გულსაფარი. მაიზორა მთლიანადა ჰფარავს გულმკერდს და ჩაგძელებული არის მუხლებამდის ისე, რომ ლაბადზედ უფრო გრძელია. მაიზორაზედ გულთან ჰკიდიათ ხოლმე გასაღებები სახლისა, სკივრისა, ხელოში სახმარი მისაკეცი დანა და სხვა. ქალების გიშრის ფერი თმა ორს უმთავრესს ნაწნავებათ, ანუ როგორც ინგილოები ეძახიან, წიწილებად იყოფე, ბიან, რომელნიც კიდევ ორ-ხელოდ ნაწილდებიან. თავზედ მოხვეული აქვთ თხელი რამ, რომელიც დოლბანდს მიაგავს და რომელსაც აქ ჩიქილას ეძახიან. ფეხისაცმელად ინგილო ქალები ქოშებსა ხმარობენ, მაგრამ რამდენადაც ალაზნის უახლოვდებით, აქ ქალები სულ მუდამ ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველები დადიან.

ეს არის მუდმივი, ყოველდღიური შინაური ტანისამოსი ინგილო ქალისა, მაგრამ დღეობაში და წვეულებაში სულ სხვანაირად ერთობა და ათას ნაირის სამკაულით იმოსება, რომელთაც საერთო სახელს **იმრათს** ეძახიან. იმრათი ვერცხლის მორთულობაა და გულ-მკერდისა და თავის დასამშვენებლად ხმარობენ. ეს მორთულობანია, უპირველეს ყოვლისა—**ვისტორი**, რომელიც თავზედ დასახურს რამდენიმე რიგ ძელკვისაგან შესდგება და წინ შუბლთან რამდენიმე პირად ჩამორიგებული აქვს ვერცხლის ჟინჯილები და ვერცხლისავე ორშაურიანები. **ილგაგი**, რომელიც წარმოადგენს გულზედ ჩამოსაკიდს ერთმანეთზედ გადაბმულს ვერცხლის ფულებს, რომელთა რიცხვიც ზოგჯერ სამოცამდის აღის ხოლმე და მთელს გულ-მკერდსა ჰფარავს სიგრძე-სიგანეზედ. ილგაგისათვის ხმარობენ აბაზიანსა და ხუთშაურიანს ვერცხლის ფულებს, რომელთა შორისაც ხშირად შეხვდებით ძველს ქართულს ორ აბაზიანსაც. გარდა ამისა სადღესასწაულო მაიზარს, რომელიც ფარჩისა ან ხავერდისა კეთდება, აქეთ-იქით გულთან გამწკრივებული აქვთ პატარა ვერცხლის სურები, რომელთაც ინგილოები ღილებს ეძახიან,

ქვედა პირზედაც კიდევ რამდენიმე რიგად პატარა ვერცხლის ჟინჯილები აქვს ჩამწკრივებული. ასევეა მორთული სადღესასწაულო პერანგიც, რომელსაც წინ ყოშები აქვს მიკერებული, ხელის ზედა პირისა ჰფარავს და ჟინჯილები აქვს შემრვლებული გარშემო. იმართლის კუთვნილებას შეადგენს ვერცხლის ბრტყელი ქამარიც, რომელზედაც გამაგრებული არის ვერცხლის აბაზიანები და ხუთშაურიანები. ეს ქამრები მეტად მძიმეები არიან და ერთის შეხედვით მოგვაგონებენ ქალაქელ წვრილ ვაჭრების ქამრებს. ასეთს სამკაულში გამოწყობილს ქალს სიარულში და ყოველივე განძრევანზედ ნელი ჟღარუნე გაუდის.

ასეთია საზოგადოდ ინგილო ქალის სადღესასწაულო სამკაული. მაგრამ ყველგან საინგილოში მეტ-ნაკლებობით ასეთს ტანისამოსს კი არ ატარებენ. აღიბათის ნაწილში მაგალითად, ყველა ამ ტანისამოსის ზევიდან იცვამს კიდევ **ქათიბს** ანუ ქულაჯას. ზედაპირი ქათიბისა აბრეშუმისა ან ხავერდისაა და ირგვლივ კალთაზედ, სახელოებზედ და საყელოზედ შემოვლებული აქვთ გოჯ-ნახევრის სიგანე შავი ბატნის ან მელა-ტურის ტყავი. აღიბათისავე ნაწილში მხოლოდ ზოგიერთს სოფლებში ხმარობენ **ლექლარს**, რომელიც იგივე ახალუხია, რომლის ღია გრძელი სახელოები უკანა აქვთ გადადებული და კალთებიც ირიბათ უკან შეკეცილი. გარდა ამისა ვისტორის მაგივრად ზოგიერთს სოფლებში ხმარობენ შუბლ-საკრავს, რომელიც ჩიხტს მოგვაგონებთ და აბრეშუმის ძვირფას ხელსახოცს რამდენიმედ შეკეცილს წარმოადგენს. სოფელ კაკში კიდევ სრულიად არ იციან ვერცხლის ქამრების ხმარება. და ბოლოს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ მთელს საინგილოში არ იციან უმარლისა ან სხვა მისგვარ სახეზედ წასასმელ წამლების ხმარება.

ინგილო ქალის ყოველ-დღიურს ანუ შინაურს ტანისამოსს დამოკიდებულობა აქვს მის შრომის მოყვარობასთან. ინგილოები საზოგადოდ მეტად შრომის მოყვარენი არიან, განსაკუთრებით ქალები. რასაკვირველია, ინგილო ქალის აკარწახებული ტანისამოსი და მაიზერა უფრო გამოსადეგია მუშაობისათვის, ვიდრე გძელი ფეხებში მოფრატუნე კაბა. ინგილო ქალს შრომაში ბადალი არა ჰყავს, იმას ვერას დროს ვერ დაინახავთ, რომ ჩამომჯდარიყვეს სადმე საქოროდ და მითქმა-მოთქმაში დაეღამებოს. იმას ამისათვის არა სცალიან, მუდამ ჩაუფერხებლივ მუშაობს და ხელსაქმობს. ზამთარია და სახლისა და ოჯახის ჩვეულებრივ მოვლის გარდა, ის მატყლსა სჩეჩავს, ართავს და სძახავს საჩოხე შალისა და ჯეჯიმბ-ფარდაგებისათვის. გარდა ამისა ჰქსოვს ნაირ-ნაირ წინდებსა და ქრა-ჰკერვას და ხშირად 10—11 საათამდის ზის ბუხრის წინ და საქმობს. გაზაფხულდება კიდევ და შრომა-ჯაფა ერთი-ორად უფრო ემატება, ზამთარში დართულ მატყლისაგან ეხლა

ქსოვს საჩოხეს, ჯეჯიმებსა და სხვას, მოჰყავს და უფლის აბრეშუმის ქიას, რაც განსაკუთრებით ქალების საქმეთ ითვლება, უფლის, რწყავს და მარგლის ბოსტანს და სვავს და სხვას. ერთის სიტყვით ზამთარ-ზაფხულს გაუთავებელს შრომაში არის ჩაბმული და ზოგჯერ იმდენი მოცლაც არა აქვს, რომ ეკლესიაში წავიდეს და პირჯვარი გადიწეროს.

არა ნაკლებ მშრომელია და გამრჯე მამაკაციც. მთელს საინგილოში მცხოვრებ ლეკებსა და თათრებში ინგილო თითოთ საჩვენებელია. ვერც ლეკი, ვერც თათარი შრომაში ვერ შეედრება. ინგილო არამც თუ მარტო იმ მამულის მოვლას ასწრობს, რომელიც მის საკუთრებას შეადგენს, არამედ სხვაგანაც იღებს მამულს სამუშაოდ, მიდის შორს შირაქსა და ალიაზლოს მინდვრებში და იქაცა ხნავს და სთესავს. ინგილო ხვნა-თესვასაც ასწრობს, აბრეშუმის მოყვანასაც და ბაღ-ვენახსაც თავისუფლად უძღვება, იმ დროს როცა თათარსა და ლეკს იმდენი პურიც კი ვერ მოჰყვანიათ, რომ საჩოხა წლის ბოლომდის გაჰყვეთ. როცა ინგილო ჩაუფერხებელივ მუშაობს და ცეცხლის პურის ქამაშია, ლეკი და თათარი ხშირად ქოშებში და ქურქში გამოწყობილი საღმე საჩაიში ზის და ნებივრად შეექცევა ჩაისს, ან არა და ქუჩა-ქუჩა ბოლოთა სცემს და მასლაათობს. ამის გამო თათრებს ანდაზად გამოუთქვამთ, ინგილო რომ არ იყოს, ჩვენ მშვიდები დავიხოცებთო, ის არის ჩვენი პურის ვარცლი და კიდობანიო. მართლაც, იმ დროს როცა თათარს ან ლეკს ერთი დაყრა ხორბალიც არ მოეძებნება, ინგილოს ხშირად მოჭარბებული აქვს და გასასყიდათ გამოაქვს. ამიტომ თათარი იძულებულია ინგილოს სთხოვოს ხორბალი სესხად ან არა და მთავრობას გაუწოდოს ხელი, შენი ჭირიმე შიმშილით ვიღუპებით და რამე უნდა გვიშველოთო.

საზოგადოდ ინგილოები, როგორც მშრომელი ხალხი, უფრო შეძლებულია ვიდრე თათრები ან კიდევ მისი მებატონე ლეკები, მათში ბევრნი არიან ისეთი გაკეთებული ოჯახები, რომ კარგ მოსახლეს თავდა-აზნაურს არ ჩამოუვარდებიან. მიუხედავად ამისა ინგილო შეძლებულია თუ ღარიბი ისეთი აბრანძული დაიარება და საცოდავით ჩამოსტირის ათასნაირად დაჯღანებული ტანისამოსი, რომ კაცს შეებრალება. მათში არ არის განვითარებული სურვილი კარგა ჩაცმა-დახურვისა, ამ მხრივ ინგილოები ჩამოუვარდებიან თავისს მეზობელ ლეკებს მეტადრე ქარელებსა და ბელაქნელებს, რომელნიც ისე კარგათა და სუფთად იცვამ-იხურავენ, რომ ძალაუნებურად გავონდებათ ქუთაისის გუბერნიის ქართველობა.

გართობა, დროს გატარება საზოგადოთ ინგილოებს არ უყვართ. დღეობა თუ ქორწილი, ერთად-ერთი მათი გასართობი ზურნაა, მაგრამ აქაური ზურნა რაღაც არა ჩვეულებრივია, ისეთი შესა-

ზარავი ხმა აქვს და ზართი-ზეიმი გაუდის, რომ კაცს მხოლოდ აყრუებს. უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნათ, რომ ერთი დაფის მაგიერათ, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული, აქ ორი დაფი არის ხმარებაში, ერთი პატარა, მეორე კი უშველებელი, რომელსაც სქელი, უმზგავსი ტყავი აქვს გადაკრული და შემზარავი ხმა. მედაფე ერთგვარად უშნოდ უბრაზუნებს ამ დაფს და მთელს ჰარმონიას დაფა-ზურნისას არღვევს. აი ეს არის უმთავრესი გასართობი ინგილოებისა. ამ ზურნაზედა აქვთ მოწყობილი ცეკვაც, რომელიც ჩვეულებრივ ლეკურს წარმოადგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალი კაცს არ გაეთამაშება, ცალ-ცალკე ცეკვამენ კაცები და ქალები. აი გაიხადა ინგილო ქალმა და წინდების ამბრა დინჯად, აუჩქარებლივ ჩამოუარა ლეკური, ნელად მოხდენით კლაკნავს ხელებს, მეორე მხრიდანაც გამოვიდა პატარა ცქრიალა გოგონა და მოხდენილად გამოეთამაშა პირველს. მაყურებლები ტაშს უკრავენ, ზურნის ხმა ხალხს აყრუებს. კარგს მოთამაშეს ხალხი ღურადღების ნიშნად ხუთმანეთიანებს, თუმნიანებს და ოცდახუთმანეთიანს ქალაქის ფულებს აძლევენ. მოთამაშეთაც თავი მოაქვთ ამითი, დაიჭერენ ამ ფულებს აქეთ-იქით ხელებში და აფრიალებენ. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს ფულეები აჩუქეს მოთამაშეებს, არა, იმათ მხოლოდ შნოს მისაცემდა და გასამხნეველად მისცეს ქალაქის ფულეები და გათავების შემდეგ მოვალენი არიან ისევ დაუბრუნონ პატრონებს.

ზ. ელილი.

(გაგრძელება იქნება)



მ თ ა

ინტელიგენციის სამსჯავროს წინაშე.

რა არის თემი?
 თემი არის მონათესავე ოჯახთა ჯგუფი ამავე დროს თემი არის იურიდიული დაწესებულება, იმ გვარი ორგანო, რომელმაც მიისაკუთრა სამი ფუნქცია: კანონმდებლობა თემის მართვა-გამგეობაში, მოსამართლეობა თემის საქმეებში და აღმასრულებლობა თავისივე გადაწყვეტილებისა. თემი, როგორც ჯგუფი, დამცველია და შემნახველი ნათესაობითი იდეისა; ამის გამო მამა-კაცსა და დედა-კაცს ერთნაირად უყურებს; მის შედგენაში ორივეს თანასწორი მნიშვნელობა აქვს: დედა-კაცი და მამა-კაცი

წევრებია თემობითი კავშირისა. თემი, როგორც იურიდიული დაწესებულება, შესდგებოდა მხოლოდ მამა-კაცებისაგან იმ ჰასაკიდან, როდესაც ქუდოსანს შეეძლო იარაღი აესხა და ბრძოლის ველზე გამოსულიყო. მამასადამე, თემის ყრილობაში ანუ თემის ცხოვრების მართვა-გამგეობაში მონაწილეობას იღებდა ყოველი მამა-კაცი. ამ თვალსაზრისით რომ ავწონოთ თემი, დავინახავთ, რომ თემი იყო დემოკრატიული დაწესებულება. თემის მოქმედება მყარდებოდა მთლიანობასა და ერთობაზე; თემის მიზანი იყო—მთლიანობის დაურღვეველობა და ძმობა. ასე რომ თემის მოქმედების საფუძველი და მიზანი ერთი და იგივე იყო: მთლიანობა და ერთობა. ამ მიზნის მისაღწევად თემი ხმარობდა ყოველ-გვარ საშუალებას; იგი მოქმედებდა მკაცრად, შეუდრეკელად; ამ შემთხვევაში მას შებრალებდა არა ჰქონდა, ჰუმანიური მიმართულება არა სწამდა; თემის წესწყობილების დამრღვევ წევრს სამარცხვინო ბოძს აკრავდა: სწევკტა თემს ან ღროებით, ან სამუდამოდ: თუ საჭიროება მოითხოვდა, ჰკლავდა და ჰქოლავდა კიდევ. რასაკვირველია, უფრო მსუბუქ სასჯელებსაც ხმარობდნენ დანაშაულობის მიხედვით. პირიქით შემთხვევაში, თემი მედგრად იცავდა თავის წევრს შინ და გარედ. თემი ერეოდა ოჯახის შინაურ საქმეებში; თემი იჩემებდა ოჯახისა და მის წევრების პატრონობას; თუ საჭიროება მოითხოვდა, თემი არიგებდა ერთმანეთში ოჯახის წევრებს; მორიგების საშუალებას რომ ვერ გაეჭრა, მაშინ ამა თუ იმ წევრს სხვა გზას აძლევდა. ორ მომტერე გვარეულობის შუა იდგა ხოლმე თემი. აქაც უთემოდ მორიგებას ვერ ახერხებდნენ. ერთი სიტყვით, თემობა თვალყურს ადევნებდა ყველაფერს: ოჯახში არაფერს დაჩაგრულიყო, გვარი გვარს არ დაებრიყვებინა, გვარი გვარს არ ამოეწყვიტა... მტერს ხომ ებრძოდა და ებრძოდა თავის წევრის ინტერესების დასაცველად. მტრისაგან დაზიანებულ წევრს თემი შეელოდა საჭიროების მიხედვით: თუ ზარალი იყო ქონებრივი, თემი ან თავისით შეუფსებდა დანაკლისს, ან მტერზე დაცემით იშოვიდა დავლას და აქედან მისცემდა წილს დაზარალებულს. ტყვეობიდან თავის მოძმეს—თუ ოჯახი ვერ შესძლებდა,—იხსნიდა თემი; უფრო წინ ეს ხომ განსაკუთრებით თემის კისერს აწვა. ნიაღვრისაგან, ცეცხლისაგან და ბევრი სხვა მიზეზისა გამო დაცემულ მოთემეს თემში აყენებდა ფეხზე. მტრის ხელით მოკლულ მოძმის წინაშე დიდი იყო თემის ვალი: მთელი თემი თავის წმიდა მოვალეობად სთვლიდა სისხლის აღებასა და სხვა. ამ რიგად თვით თემი, როგორც იურიდიული დაწესებულება და როგორც მონათესავე ოჯახთა ჯგუფი, შეიცავდა თავის შინაარსში ორ მოპირდაპირე მიმართულებას: ერთ მხრივ, თემი

შეადგენდა ცხოვრების განვითარების და წინმსვლელობის პირობებს; მეორე მხრივ, სულს უზოთავდა იმავ ცხოვრებას, ვინაიდან ახალი პირობების შექმნა მოღებდა ცხოვრებაში მეტად ძნელი საქმე იყო თემობის დროს. თემობის ცნების შინაარსის ორკოფობამ თემი დარღვევის და დაშლის გზაზე დააყენა. თემი დაირღვა კიდევ. თემის დარღვევაში დიდი ადგილი უჭირავს ოჯახს. თემობის შინაარსის ეს მოკლე განმარტებაც კმარა ჩემი მიზნისათვის.

რა არის ოჯახი?

ოჯახი არის მამა-კაცისა და დედა-კაცის კავშირი შვილებითურთ. მთიელის ოჯახი პატრიარქულია, ე. ი. მამა-კაცი უფროსობს და განაგებს ოჯახს. პატრიარქული ოჯახი აგებულია თვითმპყრობელობის პრინციპზე. ოჯახი უფრო მარტივი სოციალური მოვლენაა, ვიდრე თემი, ოჯახი თემის ერთგულია. რადგან უმთავრესი ფაქტორი მთიელთა ცხოვრებაში იყო თემი და ოჯახი და რადგან მე მინდოდა, უფრო წინ წამომეყენებინა ამათი მნიშვნელობა, ამის გამო ზემოდ გამოვუშვი ერთი ფაქტორიც, რომელიც იდგა თემსა და ოჯახს შუა. ეს ფაქტორი—გვარია. ამიტომ სიმართლე მოითხოვს, რომ გვარზედაც ითქვას რამდენიმე სიტყვა. გვარი უფრო ახლო მონათესავე ოჯახთა ჯგუფია. ასე რომ თემი პირდაპირ ოჯახებიდან-კი არ შესდგებოდა, არამედ გვარეულობიდან. გვარი ეს რთული ოჯახია და პატარა თემი. ხშირად ოჯახის საქმეებს (ატეხილ დავას და სხვას) არიგებდა თავისივე გვარი. გვარი მოსარჩლედ გამოდიოდა თავის ოჯახისა არა თუ მარტო სხვა გვართან დავის დროს, არამედ წინააღმდეგობას უწევდა თემსაც-კი, როდესაც ამას მოითხოვდა მთელი გვარის, ან მის ერთ-ერთი ოჯახის ინტერესი.

ამ რიგად ოჯახი მთელის თავის ცხოვრებით იმყოფებოდა თემისა და გვარეულობის გავლენის ქვეშ: ოჯახსაც, რასაკვირველია, თავისი ფიზიონომია შეჰქონდა მთიელთა ცხოვრებაში, თავისად მოქმედებდა მთიელზე. აშკარაა, თემის გავლენა ოჯახზე უფრო ხანგრძლივი და მძლავრი იყო ვიდრე გვარისა. ასე რომ იმ დროის თემის მოქმედების დიდი დღესაც აშკარად ეტყობა ოჯახს, რომელსაც მაშინ ვერც-კი წარმოედგინა უთემოდ ცხოვრება. მიუხედავად ამ გვარი მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი თითქმის სრული მორჩილი იყო თემისა, მათ შორის—როგორც ზემოდაც ითქვა—არსებობდა ხან უჩინარი, ხან ცხადი ბრძოლა.

ალბანელი.

(შემდეგ იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.